

გამოუცხადებელი ომის ქრონიკა
(ხელისუფლება ბანკის წინააღმდეგ)

თბილისი

მაისი 2012 წელი

2011 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქემ ცნობილმა მილიარდელმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად და საერთაშორისო დემოკრატიის აღიარებული ნორმების ფარგლებში საზოგადოების წინაშე გააკეთა განცხადება მისი პოლიტიკური მიზნებისა და ამბიციების შესახებ – არჩევნების გზით საქართველოს ხელისუფლებაში საკუთარი პოლიტიკური ძალით მოსვლის თაობაზე.

უკვე 8 ოქტომბერს დაიწყო მასიური, აღვირახსნილი შეტევა საქართველოში ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული ბიზნეს სტრუქტურებისა და უპირველეს ყოვლისა სს „ბანკი ქართუს“ წინააღმდეგ. განხორციელდა არაერთი დაშინებისა თუ უკანონო ზეწოლის ფაქტი მის გარემოცვაზე, რამოდენიმე მისი ახლობელი დღესაც დაპატიმრებულია ფაქტობრივად ერთადერთი – პოლიტიკური მოტივით.

მალევე 11 ოქტომბერს პიროვნებას, რომელსაც ბოლო 21 წლის განმავლობაში რამოდენიმე მილიარდი აშშ დოლარი აქვს დახარჯული ქველმოქმედებაში, მათ შორის ქართული განათლების, ჯანმრთელობისა, თუ საზოგადოებრივი ყოფიერების სხვა სფეროებში, რომლის მიერ გაწეული უანგარო დახმარების ხარჯზე, განადგურებას გადაურჩა მსოფლიო კულტურის საგანძურის 600–მდე ძეგლი, აბსოლუტურად უკანონოდ ჩამოერთვა საქართველოს მოქალაქეობა. ასევე, ხელისუფლებისათვის პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, სრულიად უსაფუძვლოდ, მოქალაქეობა ჩამოერთვა ბატონ ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს ქალბატონ ეკატერინა ხვედელიძეს.

ბანკის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები:

1. ზეწოლა ბანკის კლიენტებზე

რაც შეეხება სს „ბანკ ქართუ“-ს წინააღმდეგ განხორციელებულ უსამართლო, ხშირ შემთხვევაში უკანონო ქმედებებს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს უპრეცედენტო და მასობრივი დაშინება და ზეწოლა ბანკის კლიენტურაზე, რათა მათ გადაეტანათ პასიური ანგარიშები სხვა ბანკებში და ამით შეექმნათ სერიოზული ფინანსური პრობლემები – მხოლოდ გასული წლის ოქტომბრის ბოლო 2 კვირის განმავლობაში აღნიშნულის გამო, ბანკიდან მოხდა 45 მლნ. ლარის რესურსის გადინება. ამასთან სხვა ბანკებში ანგარიშები, მათ შორის სახელფასე, გადაიტანეს საბიუჯეტო ორგანიზაციების აბსოლუტურმა უმრავლესობამ. ბანკის საშუალო და მსხვილი კლიენტურა მასიურად იქნენ დაბარებული (ზოგი რამოდენიმეჯერ) ძალოვან სტრუქტურებში საკრედიტო დოკუმენტაციასთან ერთად. ამ კლიენტურის უმეტესობა ერთდროულად ბანკის საკრედიტო საქმეებიდან ითხოვდა ხელშეკრულების ასლებს. იგივე მოხდა მსხვილი დეპოზიტარების შემთხვევაში. კლიენტების ნაწილი იძულებული გახდა დროებით ქვეყანა დაეტოვებინა. დაიწყო სასამართლოს, აღსრულების ეროვნული ბიუროს, საჯარო რეესტრის და ა.შ. არქივებში ბანკთან დაკავშირებული საქმეების, რეგისტრირებული ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტაციის ტოტალური დამუშავება, ზოგიერთი პრობლემური მსესხებლის პროვოკაციული გამოყენებით, ბანკის დისკრედიტაციის მიზანმიმართული საჯარო კამპანია.

2. ინკასაციის სპეცოპერაცია

გასული წლის 18 ოქტომბერს მოხდა კიდევ ერთი უპრეცედენტო ფაქტი, როდესაც სს „საქართველოს ბანკის“, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სამართალდამცავი სტრუქტურების მონაწილეობით მოხდა ყაჩაღური თავდასხმა (სამოქალაქო ტანსაცმელში მყოფი ნილზიანი პირების მიერ) ბანკის მოლარეებსა და ინკასატორებზე სს „საქართველოს ბანკის“ შენობაში, ბანკისათვის აბსოლუტურად ორდინარული, ნაღდი ფულის გამაგრების ოპერაციის განხორციელების დროს, შედეგად დაკავებული იქნენ სს „ბანკი ქართუ“-ს ექვსი თანამშრომელი (ოთხი მოლარე და ორი ინკასატორი), ამოღებულ იქნა ნაღდი ფული (ორი მლნ. აშშ დოლარი და ერთი მლნ. ევრო) და ბანკის კუთვნილი საინკასაციო მანქანა, ერთდროულად აღიძრა სისხლის სამართლის საქმე აბსოლუტურად აბსურდული ფულის გათეთრების, ბრალდებით?!

თავდასხმის ფაქტობრივი აღწერილობა:

2011 წლის 18 ოქტომბერს სს „ბანკი ქართუს“ საინკასაციო სამსახურის თანამშრომლებს ერთ-ერთი საინკასაციო მანქანის საშუალებით უნდა განეხორციელებინათ თანხის (ორი მილიონი აშშ დოლარი და ერთი მილიონი ევრო) ინკასაცია სს „საქართველოს ბანკის“ სათაო ოფისიდან სს „ბანკი ქართუს“ სათაო ოფისში. სს „ბანკი ქართუს“ საინკასაციო მანქანა მივიდა სს „საქართველოს ბანკის“ სათაო ოფისში და გაჩერდა ეზოს ტერიტორიაზე (რომელსაც იცავდა შესაბამისი სამსახური). სს „ბანკი ქართუს“ ერთი ინკასატორი და ოთხი მოლარე შევიდა ბანკის შენობაში თანხის დასათვლელად და გამოსატანად. ვინაიდან დასათვლელი თანხა იყო დიდი ოდენობის და მოითხოვდა გარკვეულ დროს ინკასაციის მანქანამ დატოვა ეზოს ტერიტორია და წამოვიდა სს „ბანკი ქართუს“ სათაო ოფისში. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ სს „ბანკი ქართუს“ თანამშრომლები დაუკავშირდნენ საინკასაციო მანქანის მძღოლს და ითხოვეს, რომ მძღოლს დაებრუნებინა ისინი სს „ბანკი ქართუში“, რადგანაც სს „საქართველოს ბანკმა“ უარი განაცხადა ზემოაღნიშნული თანხის გაცემაზე. საინკასაციო მანქანა გაემგზავრა თანამშრომლების წამოსაყვანად და დაახლოებით 10 წუთის შემდეგ სს „ბანკი ქართუს“ თანამშრომლები კვლავ დაუკავშირდნენ მძღოლს და განაცხადეს, რომ სს „საქართველოს ბანკი“ იძლეოდა ზემოაღნიშნულ თანხას და საინკასაციო მანქანა კვლავ დაბრუნდა სს „ბანკი ქართუს“ სათაო ოფისში. დაახლოებით ორი საათის შემდეგ სს „ბანკი ქართუს“ საინკასაციო მანქანა წავიდა სს „საქართველოს ბანკის“ სათაო ოფისში, რათა განეხორციელებინა ზემოაღნიშნული თანხის ინკასაცია სს „საქართველოს ბანკიდან“ სს „ბანკ ქართუში“. საინკასაციო მანქანა შევიდა იგივე ეზოში და დაელოდა სს „ბანკი ქართუს“ თანამშრომლებს, რომლებიც უნდა გამოსულიყვნენ და გამოეტანათ თანხა. დაახლოებით 10 წუთში თანამშრომლები დაუკავშირდნენ მძღოლს და უთხრეს, რომ მანქანა გაეჩერებინა შესაბამის ადგილზე. საინკასაციო მანქანა გაჩერდა ბანკის გამოსასვლელ კარებთან, საიდანაც უნდა გამოსულიყვნენ თანამშრომლები თანხასთან ერთად. ამ დროს მძღოლმა შენიშნა, რომ ეზოს ტერიტორიაზე დაცვის თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილი იყო უჩვეულოდ. გარდა ამისა, მან შენიშნა, რომ საინკასაციო მანქანას უახლოვდებოდნენ უცხო პირები, რომლებსაც თან ქონდათ ვიდეოკამერები და აღჭურვილნი იყვნენ იარაღით. აღნიშნული პირები (რომლებიც იმყოფებოდნენ სამოქალაქო ფორმაში, ზოგიერთი მათგანი იმყოფებოდა შავი ფორმებით და ნიღბებით

ყოველგვარი განმასხვავებელი ნიშნების გარეშე), როგორც შემდგომ გაირკვა იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებმაც სს „საქართველოს ბანკის“ შენობაში, თანხის გამოტანის დროს დააკავეს ინკასატორი და ოთხი მოლარე. ასევე დააკავეს საინკასაციო მანქანაში მყოფი მძღოლი და განაიარაღეს ამავე მანქანასთან მყოფი დაცვის პოლიციის ერთი თანამშრომელი, რომელიც დაყვება საინკასაციო მანქანებს. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა განაიარაღეს მძღოლი და ინკასატორი, ხოლო დაცვის პოლიციის თანამშრომელს მიაყენეს დაზიანება თავის არეში. ბანკის აღნიშნული თანამშრომლები და საინკასაციო მანქანა გადაყვანილ იქნენ თბილისის პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში. აღნიშნული პირები გამოუშვეს პოლიციის შენობიდან მას შემდეგ, რაც დაიკითხნენ (მიყვანიდან დაახლოებით ოთხი საათის შემდეგ) პოლიციის შესაბამისი თანამშრომლების მიერ. მძღოლს და ინკასატორს დაუბრუნეს იარაღები. საინკასაციო მანქანა დაიტოვეს.

იმავე დღეს, შესაშური ოპერატიულობით, ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებას ეცნობა, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა „ფულის გათეთრების“ ფაქტზე, დაკავებული იყო სს „ბანკი ქართუს“ ექვსი თანამშრომელი და ამოღებული იყო ნივთმტკიცების სახით 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი და 1 000 000 (ერთი მილიონი) ევრო. ბუნებრივია, ამ ინფორმაციის გავრცელებით უხეშად იქნა დარღვეული ბანკის უფლებები და შეილახა მისი საქმიანი რეპუტაცია!

ჩვენის აზრით სამწუხარო რეალობაა ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ვანდალური თავდასხმის ორგანიზებისას სს „საქართველოს ბანკი“ აშკარად ხელს უწყობდა „სამართალდამცავთა“ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს. როგორც ზემოდ მოგახსენეთ, წესისამებრ სალაროს გამაგრების ოპერაციის განხორციელება არ იკავებს რამოდენიმე საათს, ამასთან ოპერაციის დაწყებისთანავე სახეზეა მონაწილე მხარეთა ერთმნიშვნელოვანი თანხმობა ოპერაციის განხორციელებაზე, ზემოხსენებულ შემთხვევაში კი სს „საქართველოს ბანკის“ მხრიდან რამოდენიმეჯერ პოზიციის შეცვლა გვაფიქრებინებს შეგნებულ ქმედებას დროის გაწელვისათვის, რადგანაც დარჩენილიყო საკმარისი დრო ვანდალური თავდასხმის დასაგეგმად და განსახორციელებლად.

კომერციული ბანკის სალაროს ნაღდი ფულით გამაგრების ოპერაცია ჩვეულებრივი ბანკთაშორისი გარიგებაა (მხოლოდ გასულ წელს ბანკს 200 ანალოგიური ხასიათის ოპერაცია აქვს შესრულებული შვიდ ათეულ მლნ. ლარზე მეტი საერთო თანხით) და ეს ოპერაციები მონიტორინგსაც კი არ ექვემდებარება, მით უმეტეს რომ უნაღდო გადარიცხვები აშშ დოლარებში მოხდა ნიუ-იორკის „დოიჩე ბანკ ტრასტ კომპანისა“ და „სითი ბანკს“ შორის, ხოლო ევროებში – გერმანული „კომერცბანკის“ მიერ.

ამასთან, 2011 წლის ოქტომბრის თვეში ბანკი აქტიურად ახორციელებდა სალაროს გამაგრების ოპერაციას, რადგანაც კლიენტთა მხრიდან შეინიშნებოდა ბანკიდან ნაღდი ფულის (ძირითადად ანაბრების) გატანაზე მზარდი მოთხოვნა.

ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული, აღნიშნული ბრალდება რომ უსაფუძვლო იყო დასტურდება თუნდაც იმით, რომ 2012 წლის 10 იანვარს ძველი თბილისის რაიონულმა

პროკურატურამ, ყოველგვარი ინფორმაციისა და საპროცესო დოკუმენტის ბანკისათვის წარდგენის გარეშე, ზემოთაღნიშნული დანაშაულის ნივთმტკიცების სახით ამოღებული თანხები ნაღდი ფულის სახით შეიტანა საქართველოს ეროვნულ ბანკში სს „ბანკი ქართუს“ საკორესპონდენტო ანგარიშზე. მოგვიანებით, 2012 წლის 17 მარტს, ბანკს დაუბრუნდა საინკასაციო დაჯავშნული მანქანაც, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტს. თუმცა, რაც მთავარია, ქ. თბილისის პროკურატურის განცხადებით გამოძიება ისევ გრძელდება?! საინტერესოა, რას და რა ფორმებით იძიებს საქმეს პროკურატურა, როდესაც საქმის აღძვრიდან ექვსი თვის განმავლობაში ერთი შეკითხვაც კი არ დაუსვამთ ბანკის თანამშრომლებისთვის (თუ არ ჩავთვლით ოპერაციის ჩატარების დღეს დაკითხულ ოთხ მოღარესა და ორ ინკასატორს) და არც კი მიუმართავთ ჩვენი კორესპონდენტი და ამ გარიგების მონაწილე ბანკებისთვის.

მოლოდინი იმისა, რომ გამოძიების შედეგები მოგვიანებით მაინც გახდებოდა ჩვენთვის ცნობილი და გამოძიების მწარმოებელი ორგანო გადმოგვცემდა დადგენილებას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის შესახებ, არ გამართლდა. შესაბამისად, ბანკი დღემდე მოკლებულია შესაძლებლობას აღიდგინოს თავისი დარღვეული უფლებები და მინიმუმ, იგივე საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით გამოაქვეყნოს კანონის საფუძველზე დადასტურებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბანკის მხრიდან ადგილი არ ჰქონია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის მიზნით რაიმე სახის ქმედების ჩადენას.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის ზეწოლა

სს „ბანკი ქართუ“-ს მოღარეებსა და ინკასატორებზე თავდასხმის მეორე დღესვე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ამ ფაქტიდან გამომდინარე ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესწავლა, კერძოდ: 2011 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება №767, რომლის საფუძველზეც დაიწყო ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და შერჩევითი მეთოდის გამოყენებით „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვის შემოწმება. შემოწმების ვადა განისაზღვრა 2 თვით – 2011 წლის 19 ოქტომბრიდან 2011 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, 2011 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება #872, რომლითაც ცვლილება შევიდა #767 განკარგულებაში და შემოწმების ვადა გაგრძელდა დამატებით 2 თვით - 2012 წლის 20 თებერვლამდე. 2012 წლის 17 თებერვლის #156 განკარგულებით ისევ იქნა შეტანილი ცვლილება 2011 წლის 19 ოქტომბრის განკარგულებაში და შემოწმების ვადა გაგრძელდა 2012 წლის 22 მაისამდე. აღნიშნული ე.წ. „შემოწმება“ აგერ უკვე ექვს თვეზე მეტია გრძელდება და ბოლოც არ უჩანს, რადგანაც შემმოწმებლებს არ გააჩნიათ პროგრამა, რომელიც განსაზღვრავდა შესამოწმებელ სფეროებსა და პერიოდს. საერთოდან განვლილი ექვსი თვის განმავლობაში შემმოწმებლებს არც არაფერი შეუძლონებათ, რამდენადაც ფაქტობრივად ეწევიან ბანკის ყოველდღიური ოპერატიული საქმიანობის ტოტალურ წინასწარ კონტროლს, ანუ პრაქტიკულად მუშაობენ „რბილი დროებითი ადმინისტრაციის“ რეჟიმში, რის საფუძველსაც არ იძლევა ბანკის ფინანსური მდგომარეობა, რამეთუ დღესაც ყველაზე მაღალი ლიკვიდობა გვაქვს საქართველოს ბანკებს შორის და ყველა პრუდენციულ ნორმას დიდი რეზერვით ვასრულებთ. ამდენად შემოწმების ასეთი ფორმა და შინაარსი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ქართულ კანონმდებლობასაც და სცდება აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკის ნორმებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 19 ოქტომბრის განკარგულების გამომცემის მიერ დაშვებულია კანონის შემდეგი არსებითი ხასიათის დარღვევა:

ამ განკარგულების პირველი პუნქტით, რომელიც წარმოადგენს გამოცემული აქტის ფაქტობრივი დასაბუთების ნაწილს, საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებს დაევალია ბანკის შემოწმება „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2004 წლის 28 ივლისის #95 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნების შესაბამისად. ეს უკანასკნელი სამართლებრივი აქტი, დებულება, მოქმედებდა 2012 წლის 18 იანვრამდე. 2012 წლის 17 თებერვლის #156-ე განკარგულებამ ცვლილება შეიტანა 2011 წლის 19 ოქტომბრის განკარგულების მხოლოდ მეორე პუნქტში, ხოლო მისი დასაბუთების ნაწილი (პ.1) უცვლელად დატოვა, ანუ აქტის მიხედვით შემმოწმებლებმა ბანკის შემოწმებისას უნდა იხელმძღვანელონ ძალადაკარგული ნორმატიული აქტით, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აქტი არ არის შესაბამისობაში დღეს მოქმედ კანონმდებლობასთან და ამ აქტის გამოცემის დროს მისი გამომცემი ვალდებული იყო

არა ცვლილება შეეტანა უკანონო აქტში, არამედ ხელახლა გამოეცა შესაბამისი ფაქტობრივი დასაბუთებით ახალი აქტი!

აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს ბანკს, დაუშვებლად ზღუდავს მის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს; კერძოდ, ილახება ბანკის საქმიანი რეპუტაცია, რადგანაც საქართველოს ეროვნული ბანკის შემმოწმებლების მხრიდან ასეთი "ხანგრძლივი", ფაქტობრივად უვადო შემოწმება, წინააღმდეგობაში მოდის ადმინისტრირების მიღებულ ნორმებთან (იგულისხმება 2011 წლის ოქტომბრამდე განხორციელებული შემოწმებების ხანგრძლივობა, რომელიც როგორც წესი არასოდეს არ აღემატებოდა ერთ თვეს) და ბანკის კლიენტებს (ასევე პოტენციურ კლიენტებსაც) უქმნის არასტაბილურობის განცდას, იმის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ შესაძლოა მომავალში ბანკი დადგეს უფრო სერიოზული პრობლემების წინაშე და შესაბამისად, საფრთხე შეექმნას მათ კანონით დაცულ ქონებრივ უფლებებს. "ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მესამე მუხლის მეორე პუნქტის დანაწესის მიხედვით სწორედ ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა, რომლის უმთავრეს ინსტიტუტს კომერციული ბანკები წარმოადგენენ. საქართველოს ეროვნულ ბანკს არა აქვს უფლება კანონით მინიჭებული უფლებამოსილებანი გამოიყენოს ისეთი მიზნის მისაღწევად, რომელიც არ შეესაბამება მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. იგულისხმება, საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლების მიერ არა ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესწავლის მიზანი, არამედ ყოველდღიური, მიმდინარე საბანკო ოპერაციების კონტროლი და ამის შესახებ ინფორმაციის სხვა პირებისათვის მიწოდების მიზანი. ხსენებული დასტურდება შემმოწმებელთა ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ კონტროლის პალატისათვის პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მიწოდებით. ასევე ექვს იწვევს ის გარემოებაც, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის შემმოწმებელი ჯგუფის მოთხოვნის (ინფორმაცია საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ განხორციელებული ქველმოქმედების შესახებ) დაკმაყოფილებიდან ერთ დღეში ხსენებული ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „ალიაში“?!

ზემოაღნიშნულმა ქმედებებმა შედეგად მოიტანა ის, რომ 2011 წლის 19 ოქტომბრიდან ანუ შემოწმების დაწყებიდან რამდენიმე დღეში ბანკთან ურთიერთობა გაწყვიტა ბანკის რამოდენიმე მსხვილმა კორპორაციულმა კლიენტმა, ასე მაგალითად 2011 წლის 21 ოქტომბერს ბანკთან საინკასაციო მომსახურება შეწყვიტა სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ" და შპს „პსპ ფარმამ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები წარმოადგენენ შემზღუდველ აქტებს და ისინი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებენ და დაუშვებლად ზღუდავენ ბანკის კანონიერ უფლებებსა და ინტერესს, კერძოდ, ილახება ბანკის საქმიანი რეპუტაცია.

მართალია, ბანკს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში აღძრული აქვს სარჩელი საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნით, თუმცა უკანასკნელ პერიოდში არსებული, ბანკის მიმართ სასამართლო ხელისუფლების უსამართლო დამოკიდებულების

მანკიერი ტენდენციის გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით სასამართლო არ დააკმაყოფილებს ბანკის სარჩელს.

მეორეს მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი მთელი ეს პერიოდი კატეგორიულად ითხოვს შემმოწმებლებისათვის მათ კომპიუტერში ბანკის საოპერაციო დღის პროგრამის ჩართვას, რაც ასევე ძირეულად ეწინააღმდეგება საქართველოს საბანკო კანონმდებლობასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, მით უმეტეს, რომ ჩვენ მყისიერად ვაწვდით ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას და ვთავაზობთ ნებისმიერ სამუშაო ადგილზე ბანკის საოპერაციო დღის პროგრამის მუშაობაზე ონლაინ რეჟიმში დაკვირვების შესაძლებლობას?!

2011 წლის ბოლოს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა სს „პროგრესბანკი“-ს აქციათა 10% (დაგეგმილი 25%) პაკეტი, სადაც ასევე დაუყოვნებლივ დაიწყო სებ-ის ანალოგიური ფორმისა და შინაარსის „რევიზია“.

აქვე უთუოდ ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ქართული საზოგადოება ადექვატურად აფასებს სს „ბანკი ქართუ“-ს ირგვლივ შექმნილ სიტუაციას, სწორედ ამის უტყუარი დასტურია გასული წლის ნოემბრის დასაწყისში სპონტანურად განხორციელებული ბანკისადმი უპირველეს ყოვლისა მორალური მხარდაჭერის უპრეცედენტო აქცია, როდესაც სულ ორი კვირის განმავლობაში ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ მყოფ საბანკო დაწესებულებაში საქართველოს 23 ათასმა მოქალაქემ სიმბოლური ანაბარი გახსნა, ჯამური თანხით 3 მლნ. ლარამდე. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აქციაში მონაწილეთა სია და სრული იდენტიფიკაცია (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ანგარიშის ნომერი და თანხა) დაუყოვნებლივ მოითხოვა?!

4. სესხების უზრუნველყოფების ჩამორთმევის სპეცოპერაცია

გასული წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო და უკვე 7 ნოემბრიდან (სხვა მანამდე მიღებული ცვლილებებისგან განსხვავებით) გამოქვეყნებისთანავე მოქმედებაში შევიდა ცვლილებები „სააღსრულებო საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონში და საგადასახადო კოდექსში, რომელთა თანახმადაც საგადასახადო ორგანოებს მიენიჭათ უპირატესობა ფინანსური დაწესებულებების უზრუნველყოფილ მოთხოვნებზე მსესხებლებთან მიმართებაში იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო გირავნობით ან იპოთეკით უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნის საფუძველი შეიქმნა ფინანსური დაწესებულების გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე, კერძოდ:

- 28/10/2011 წ. – “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის საფუძვლები მიეკუთვნება კომერციული ბანკის გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე პერიოდს, პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, ხოლო შემდეგ კომერციული ბანკების მოთხოვნა.

– მანამდე არსებული რედაქციით (რომელიც შემუშავდა საბანკო ასოციაციის და შემოსავლების სამსახურის შეთანხმების შესაბამისად) პირველ რიგში კმაყოფილდებოდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციამდე ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები, ხოლო შემდგომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა. ანუ ბანკს ქონდა საშუალება კრედიტის გაცემის წინ შეემოწმებინა ის ფაქტი იყო თუ არა კლიენტის ქონებაზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და შესაბამისად გადაეწყვიტა კრედიტის გაცემა/არგაცემის საკითხი. როდესაც არსებულ რედაქციას დაემატა ზემოაღნიშნული წინადადება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა იმის გათვალისწინება თუ როდის აღმოჩნდება საგადასახადო სამსახურის მოთხოვნა უპირატესი ბანკის მოთხოვნასთან.

– ანალოგიური ცვლილება განხორციელდა საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლში.

– “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პუნქტში 10 განხორციელებული ცვლილების შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს სახელმწიფოს სასარგებლოდ და პირველ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი ან თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა ამ კანონით დადგენილ ვადებში აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს განკარგულება სახელმწიფოს საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ.

– ძველი რედაქციით პირველი აუქციონის ჩაშლის შემთხვევაში ინიშნებოდა განმეორებითი აუქციონი. ანუ ახალი რედაქციის შესაბამისად ქონებების რეალიზაციის დროში სწრაფად განხორციელების თვალსაზრისით პირველი აუქციონის ჩაშლის შემთხვევაში შესაძლებელია ქონება ნატურით გადაეცეს სახელმწიფოს.

- 11/11/2011 წ. – “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება (მუხლი 77-1 პუნქტი 7), რომლის შესაბამისად თუ იძულებითი აუქციონი ხორციელდება ამ კანონის 2-ე მუხლის “მ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების (მოვალის საგადასახადო გირავნობა/ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია) აღსრულების მიზნით ქონების ნატურით გადასვლის შედეგად უქმდება ყველა სანივთო უფლება, რომლებიც რეგისტრირებულია იმ ვალდებულების წარმოშობის შემდეგ, რომლის საფუძველზედაც ქონებაზე გავრცელდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება.

– ძველი რედაქციის შესაბამისად ქონების გადაცემის შემდეგ უქმდებოდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ დარეგისტრირებული ყველა უფლება. ანუ ძველი რედაქციის შესაბამისად კრედიტორმა (ბანკმა) ზუსტად იცოდა რომ მისი იპოთეკა/გირავნობა არ გაუქმდებოდა თუ იგი უსწრებდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციის თარიღს. ახალი რედაქციის შესაბამისად კრედიტორისთვის ამოუცნობი რჩება თუ როდის გაუქმდება მისი იპოთეკა, რადგან იმ ვალდებულების წარმოშობის თარიღი, რომლის საფუძველზეც ქონებას დაედება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა ცნობილი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და დაინიშნება საჯარო აუქციონი და აღმასრულებლის აუქციონის დანიშვნის განცხადებაში არ აღინიშნება რომ ქონება, რომელიც გადის აუქციონზე სარეალიზაციოდ დატვირთულია ბანკის სასარგებლოდ.

- 28/12/2012 წ. – “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება (მუხლი 69 პუნქტი1), რომლის შესაბამისად აღსრულების ეროვნული ბიურო იძულებითი აუქციონის ჩატარებას უზრუნველყოფს ყადაღის დადებიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სარეალიზაციო ქონება შეფასებულია სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე ერთი წლის განმავლობაში აღსრულების ეროვნული ბიურო იძულებითი აუქციონის ჩატარებას უზრუნველყოფს ყადაღის დადებიდან ორი კვირის განმავლობაში.

– ძველი რედაქციის შესაბამისად აუქციონი ტარდებოდა აღსრულების დაწყებიდან ორი თვის განმავლობაში. ანუ პრაქტიკულად აღსრულების ვადა ბიუჯეტის სასარგებლოდ არსებულ სააღსრულებო საქმეებზე ორი თვიდან შემცირდა ორ კვირამდე, რადგანაც სარეალიზაციო ქონების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ძველი თარიღით, რაც ამ მუხლის ახალი რედაქციის შესაბამისად იძლევა საშუალებას რომ აუქციონი ჩატარდეს სააღსრულებო საქმის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

ამასთან, განხორციელებული ცვლილებებით აღსრულების ეროვნული ბიურო იღებს უფლებას დაყადაღებული ქონების რეალიზაციისათვის დანიშნული უკვე პირველივე აუქციონის შემდგომ, თუ არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ ამ უკანასკნელმა არ გადაიხადა დადგენილ ვადაში ქონების ფასი აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს განკარგულება სახელმწიფოსათვის ამ ქონების ნატურით გადაცემის შესახებ ან ჩაატაროს განმეორებითი აუქციონი ანალოგიური შედეგებით იმ განსხვავებით, რომ განმეორებითი

წარუმატებელი აუქციონის შემთხვევაში იქნება იმის შესაძლებლობა, რომ ეს ქონება გათავისუფლდეს რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან და დაუბრუნდეს მოვალეს!?

ამ ცვლილებით სახელმწიფომ შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა იმისათვის, რომ მესაკუთრეებს უკან დაუბრუნოს ყოველგვარი (მათ შორის, ბანკის სესხების დაფარვის) ვალდებულებისაგან თავისუფალი ქონებები. რითაც ასევე გამოაშკარავდა ხელისუფლების მიერ შემუშავებული ალტერნატიული სქემა – გააკოტროს პოლიტიკური ოპონენტის მიერ დაფუძნებული ბანკი.

კანონის შეფასება:

- საერთაშორისო ფუნდამენტური სამართლებრივი მიდგომა:
 - 1) „არ შეიძლება თამაშის წესების შეცვლა“ – ფაქტიურად კანონმა უკუქმედების ძალა შეიძინა, რადგანად ბანკებმა სესხები გასცეს კანონის ძველი ფორმულირების პირობებში;
 - 2) ბანკს არაერთხელ მიღებული ჰქონდა ცნობა საგადასახადო დავალიანების არ არსებობის შესახებ და იპოთეკით დატვირთა უფლებრივად უნაკლო ქონებები.
- კანონმა მიაჩნა თაღლითობის უფლება:
 - ა) მსესხებელს – ბანკის მიმართ არსებული დავალიანების გადახდისთვის თავის ასარიდებლად, თუ დიდი ოდენობის საგადასახადო ვალს „აღიარებს“ (რის არსებობასაც შემოსავლების სამსახური აღარ ამოწმებს);
 - ბ) აღმასრულებელს – სახელმწიფოს მიმართ არსებული პირის დავალიანების გადახდისთვის თავის ასარიდებლად, თუ სახელმწიფოს ნაცვლად აღნიშნულ პირს დაუბრუნებს ქონებას, რაც თავის მხრივ ბანკის მიმართ არსებული დავალიანების გადახდისთვის თავის არიდების წინაპირობასაც წარმოადგენს.
- საკანონმდებლო ცვლილებამ დაუშვა შემთხვევა, რომ: თუ, პირობითად, პირის საგადასახადო ვალდებულება 100 ლარს შეადგენს, ხოლო ბანკის მიმართ საკრედიტო დავალიანება – 10,000,000 ლარს, სახელმწიფოს შეუძლია ბანკის სესხის უზრუნველყოფაში არსებული 15,000,000 ლარის ღირებულების ქონება სრულად და უფლებრივად უნაკლოდ ნატურით დაისაკუთროს ისე, რომ ა) ბანკში საგადასახადო ინკასო არ წარადგინოს, სადაც საბანკო ანგარიშზე 100 ლარი არსებობს და ბ) ბანკს არ დაუტოვოს მოქმედების საშუალება.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტით, საქართველოში არსებულმა გირაომ ფაქტობრივად დაკარგა სესხების გაცემისთვის შესაბამისი უზრუნველყოფის მნიშვნელობა, რამაც სერიოზულად შეასუსტა ქართული ბანკების საკრედიტო აქტიურობა (ქართული ბანკების ერთმა ნაწილმა გააკეთა რეაგირება შექმნილ სიტუაციაზე – შეაჩერეს ან შეამცირეს მსხვილი კრედიტების გაცემის საკითხების განხილვა, ხოლო თავად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ პერიოდში უკვე ხუთჯერ

25 საბაზისო პუნქტით შეამცირა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი: 26/10/2011 წელს – 7.25%-მდე, 22/11/2011 წელს – 7.00%-მდე, 21/12/2011 წელს – 6.75%-მდე, 18/01/2012 წელს – 6.50%-მდე და 25/04/2012 წელს – 6.25%-მდე), საგრძნობლად გაზარდა ქვეყნის რისკი, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა საერთაშორისო საინვესტიციო აქტივობის სათანადო დაცემა და საპროცენტო განაკვეთების ადეკვატური ზრდა. გირაოს არსისა და პირველი რიგის იპოთეკარის სტატუსის ნიველირება, მიუხედავად იმისა, მას ხელისუფლება მიზანმიმართულად გამოიყენებს თუ არა ამა თუ იმ კლიენტისა და შესაბამისად მის კრედიტორ ბანკთან მიმართებაში, ავტომატურ რეჟიმში იწვევს სესხების უზრუნველყოფის ხარისხის მნიშვნელოვან შემცირებას და სათანადოდ დამატებითი სახსრების დარეზერვირების აუცილებლობას. აღნიშნულმა ტენდენციამ გაცილებით მეტი საშიშროება შეუქმნა საქართველოს საბანკო სისტემას და მთლიანად ქართულ ეკონომიკას, ვიდრე ცალკე აღებულ თუნდაც ერთ კომერციულ ბანკს.

დაწყებული ტენდენცია კარგად გააცნობიერა საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების დიდმა ოთხეულმა. შემდეგი, ადრე თუ გვიან, ქვეყნის მოსახლეობა იქნებოდა, რასაც საბანკო სისტემიდან დეპოზიტების მასიური გადინების შეუქცევადი პროცესი მოჰყვებოდა თავისი საგალალო შედეგებით.

მსგავსი ცვლილებები ორიოდ წლის წინაც განახორციელა საკანონმდებლო ორგანომ, თუმცა საქართველოს საბანკო სისტემისა და რაც მთავარია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების უპრეცედენტო ერთობლივი აქტიურობის შედეგად აღნიშნული ნორმა სამ თვეში გაუქმდა ისე, რომ არც ამოქმედებულა.

ჩვენდა გასაოცრად, ამჯერად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მხარი დაუჭირა ქვეყნის საბანკო სისტემის, მთლიანად ქართული ეკონომიკისა და სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯის წინააღმდეგ მიმართულ ზემოთაღნიშნულ ცვლილებებს. საქართველოში მომქმედ არცერთ კომერციულ ბანკს არა თუ არ გამოუთქვამს საჯაროდ რაიმე სახის პროტესტი, არც კი გამოეხმაურნენ სს „ბანკი ქართუ“-ს მოწოდებას გვემსჯელა ამ საჭირობოტო საკითხის ირგვლივ საქართველოს საბანკო ასოციაციის სხდომაზე და რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია საქართველოში მომქმედმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა, მათ შორის მათმა იმ ნაწილმა, რომელთაც საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები აქვთ ჩადებული ქართულ საბანკო სისტემაში პროცესებზე შორიდან მდუმარე დამკვირვებლის პოზიცია დაიკავა?! საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით სს „ბანკი ქართუს“ წერილობით მიმართვებზე ასევე რეაგირება არ მოუხდენია საქართველოს საბანკო ასოციაციას.

მდგომარეობა სხვა ბანკებში:

- სხვა კომერციულმა ბანკებმა განახორციელეს საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება და მნიშვნელოვნად შეამცირეს საკრედიტო აქტივობა;
- სხვა კომერციულმა ბანკებმა საქართველოს ეროვნული ბანკის სიტყვიერი დირექტივის საფუძველზე შეწყვიტეს სს „ბანკი ქართუს“ სესხების რეფინანსირების პრაქტიკა, რაც ერთის მხრივ ბანკის ლიკვიდობის გაუმჯობესების წინააღმდეგ არის მიმართული და მეორეს მხრივ

ბანკის სესხების უზრუნველყოფების ჩამორთმევის სპეცოპერაციის არეალის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლიდან დაწყებული ფინანსური კრიზისის შედეგად ბანკების ზრდის ძირითად წყაროს სხვა ბანკების სესხების გადაფარვა წარმოადგენდა, რასაც საკმაოდ აქტიური სახე ჰქონდა 2011 წლის ოქტომბრამდე. დღეს სესხის გადაფარვა ხელისუფლების მხრიდან აღქმულია, როგორც ბანკისთვის დახმარება ლიკვიდობის შენარჩუნებისთვის;

- საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის წინააღმდეგ 1 წლის წინ ყველა კომერციული ბანკი და საბანკო ასოციაცია ერთად ვიბრძოდით, დღეს კონსულტაციების გარეშე მიღებული და მას აღარავინ აპროტესტებს;
- სხვა კომერციულ ბანკებს სიტყვიერი პირობა აქვთ მიღებული, რომ საკანონმდებლო ცვლილებები მათ არ შეეხებათ, რაც ამავდროულად შეფარული მუქარაც არის მათი შესაძლო პრეტენზიის პრევენციის მიზნით;
- პარტნიორმა კომერციულმა ბანკებმა შეასუსტეს სს „ბანკ ქართუ“-სთან ჩვეული ინტენსივობით ურთიერთობა. მაგალითად, სს „ბაზის ბანკმა“ დაიწყო Visa-ს მომსახურების გადამისამართება სხვა პარტნიორთან.

ყოველივე ზემოთქმულმა გააძლიერა ჩვენი კოლეგა ბანკებიდან მოსულ არაოფიციალურ ინფორმაციაზე დამყარებული ეჭვები, რომ საკანონმდებლო ცვლილებები გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ სს „ბანკი ქართუ“-ს წინააღმდეგ, პოლიტიკურად მოტივირებულ სადამსჯელო ოპერაციად, რაც ამკარად დაადასტურა მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ შექმნილი „სამართლებრივი მექანიზმების“ საფუძველზე აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ დაიწყო სს „ბანკი ქართუ“-სთვის სესხების უზრუნველყოფების ჩამორთმევის გეგმაზომიერი სპეცოპერაცია.

ხსენებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე დაყრდნობით, ბანკის მიმართ დაიწყო უპრეცედენტო, პოლიტიკურად ანგაჟირებული კამპანიის ახალი ტალღა, კერძოდ, ბანკის იმ კლიენტთა ქონებებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ ბანკის საკრედიტო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებათა მესაკუთრეებს, რეგისტრირდებოდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა (რომელთა წარმოშობის საფუძვლები თითქოსდა წინ უსწრებდა სს "ბანკი ქართუს" სასარგებლოდ არსებული გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციას) და სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ ხორციელდებოდა იძულებითი სააღსრულებო წარმოება, რაც მოიცავდა: ა) საჯარო იძულებით აუქციონზე ქონებათა "გასხვისების" გზით ან მის გარეშე ბანკის სასარგებლოდ რეგისტრირებული გირავნობა/იპოთეკის უფლების გაუქმებას; ბ) ქონებების ნატურით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემას და გ) სახელმწიფოს მიერ ქონებების დაბრუნებას თავდაპირველი მესაკუთრეთათვის, რომლებიც, როგორც წესი, წარმოდგენილნი არიან ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიების, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან/და სულაც ხსენებულ ქონებათა თავდაპირველი მესაკუთრეების (ან მათთან დაკავშირებული პირების) მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სახით.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ რამოდენიმე მნიშვნელოვან ფაქტზე:

- ხანდაზმული და განსაკუთრებით დიდი ოდენობებით საგადასახადო დავალიანებები „აღმოაჩნდათ“ ან „აღიარეს“ მხოლოდ სს „ბანკი ქართუ“-ს კლიენტურამ;
- ბანკში ბიზნეს ჯგუფების საკრედიტო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული იყო ერთი ან რამოდენიმე იურიდიული პირის (მაგალითად, ერთ შემთხვევაში 7 იურიდიული პირის) უძრავ-მოძრავი ქონება. საგადასახადო დავალიანებები „აღმოაჩნდა“ ყველა იურიდიულ პირს ერთდროულად და უკლებლივ ყველას სს „ბანკი ქართუ“-ს იპოთეკის/გირავნობის რეგისტრაციამდელ პერიოდში;
- შედარებით დიდი ოდენობით საგადასახადო ვალდებულების აღმოჩენის ბოლო რამოდენიმე წლის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბანკის მსესხებლებში შეიძლება ასეთი 1 ფაქტი ყოფილიყო მთელი წლის განმავლობაში. ბოლო პერიოდში, 3 თვის განმავლობაში ბანკის 26 კლიენტს (აღნიშნულ სტატისტიკურზე დაახლოებით 100-ჯერ მეტს) ერთდროულად „აღმოაჩნდათ“ ძალზედ დიდი ოდენობის (აღნიშნულ სტატისტიკურზე საშუალოდ 100-ჯერ მეტი) საგადასახადო ვალდებულებები. ამ 3-თვიანი პერიოდის შემდეგ, შემთხვევების ალბათობა ჩვეულ რიტმს/სტატისტიკას დაუბრუნდა;
- სერიოზულ ეჭვს ბადებს თავად საბიუჯეტო დავალიანებების არსებობაცა და მათი საფუძვლების წარმოქმნის პერიოდებიც, რამეთუ მაგალითად ერთ შემთხვევაში დავალიანება „აღმოჩნდა“ ხანდაზმულობის ვადის გასვლის ბოლო მომენტში – 2005 წელს (ა.წ. 1 იანვრიდან ხანდაზმულობის ვადა გასულია და საბუთები განადგურებულია) და რაც მთავარია დაუჯერებელი მოცულობით – 40 მლნ. ლარი, მათ შორის 25 მლნ. ლარი სოცდაზღვევის ანარიცხებზე – შეუძლებელია კონკრეტულ ბიზნესსტრუქტურას საქართველოში (საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი) 100 მლნ. ლარის ხელფასი დაერიცხა 2004 წლის განმავლობაში. ამასთან, „საქსტატის“ ოფიციალური მონაცემებით, 2004 წელს საყოფაცხოვრებო საქონლის და პირადი მოხმარების საგნების რემონტის” დარგის ბრუნვის მოცულობა არასახელმწიფო სექტორში საქართველოში ჯამში მხოლოდ 7,8 მლნ. ლარს, ხოლო დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 34.6 ლარს შეადგენდა;
- ყველა ამ ორგანიზაციას სესხის აღების წინ და საგადასახადო ვალდებულების „აღმოჩენის“ თუ „აღიარების“ წინა პერიოდში ბანკში წარმოდგენილი აქვს ცნობა საბიუჯეტო დავალიანების არქონის შესახებ და შესაბამისი შედარების აქტი;
- მსესხებლების უმეტესობას დაებლოკა შემოსავლების სამსახურის www.rs.ge-ზე წვდომის უფლება, სადაც მათი პირადი კოდით შესაძლებელია მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, შედარების აქტის) ოპერატიულად მიღება;
- ბანკისათვის უფრო მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მიზნით, არაერთ შემთხვევაში, განხორციელდა თვალთმაქცური გარიგება, როდესაც ბანკში დაგირავებული ქონებები ბიზნესსტრუქტურებმა, რომელთაც არ შეიძლებოდა ჰქონოდათ საგადასახადო დავალიანება, ხანგრძლივი განვადებით გადაყიდეს მათ მონათესავე კომპანიებზე,

- რომელთაც გადაყიდვის მეორე დღეს „აღმოაჩინეს“ მანამდე დამალული საგადასახადო ვალდებულებები სოლიდურ თანხებში;
- ყველა შემთხვევაში ყადაღა დაედო ქონებებს და არა კლიენტების საბანკო ანგარიშებს (როგორც საგადასახადო დავალიანების ამოღების აპრობირებულ ოპერატიულ ინსტრუმენტს საგადასახადო ინკასოს სახით). მეტიც, რამოდენიმე ბიზნეს-ჯგუფის შემთხვევაში, საგადასახადო ინკასოს წარდგენა მოხდა საჯარო აუქციონების ჩატარებისა და ქონების უმეტესი ნაწილის სახელმწიფოს მიერ დასაკუთრების შემდეგ, ჩვენი ინფორმაციით, წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების სრულ თანხაზე. ესეც გაუგებარია, თუ საგადასახადო ვალდებულება ნატურით დაიფარა, რომელი თანხების ამოსაღებად ხდება ინკასოს წარდგენა?! ყველა შემთხვევაში ცხადი ხდება, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია არა ბანკის კლიენტი ორგანიზაციებიდან საგადასახადო დავალიანებების ამოღებით, არამედ ამ ორგანიზაციების მიერ სს „ბანკი ქართუს“ სასარგებლოდ იპოთეკით/გირავნობით დატვირთული ქონებების ჩამორთმევით;
 - ადგილი ჰქონდა დაყადაღებული უძრავ-მოძრავი ქონებების საჯარო აუქციონზე გაყიდვის იმიტაციას, რამეთუ ქონებების 100% ნატურით და უფლებრივად უნაკლოდ დაისაკუთრა სახელმწიფომ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ), შესაბამისად ყველა მათგანზე გაუქმდა სს „ბანკი ქართუ“-ს იპოთეკა/გირავნობა;
 - ის გარემოება, რომ სახელმწიფო ყველა დაყადაღებულ ქონებას, გაყიდვის ნაცვლად, ნატურით ისაკუთრებდა აძლიერებდა ეჭვს (რასაც პატიოსანი კლიენტურაც გვიდასტურებდა), რომ ახლო მომავალში არ არსებული „ვალების ამღიარებლები“ გარკვეული სქემით უკან დაიბრუნებდნენ ჩამორთმეულ ქონებას, რაც უკვე 03/02/2012 წლიდან მასიურად დადასტურდა;
 - საჯარო აუქციონზე გამოტანილ ერთ ობიექტზე ვაჭრობისას, კანონით და პროცედურულად განსაზღვრულ ვადაზე ადრე აუქციონი შეწყდა და ბანკს საშუალება აღარ მიეცა, შემდგომი ბიჯის მიცემის პროცესი გაეგრძელებინა;
 - საჯარო აუქციონზე გამოტანილი ერთი ობიექტის შემთხვევაში: ობიექტის პირველადი იპოთეკარი იყო სხვა კომერციული ბანკი, ხოლო მეორე რიგის იპოთეკარი – სს „ბანკი ქართუ“. მესაკუთრისთვის აღმოჩენილი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის თარიღი მოექცა 2 ბანკის იპოთეკის წარმოშობის თარიღებს შორის; აუქციონის შედეგად, ჩვენი ბანკის იპოთეკა გაუქმდა, ხოლო კოლეგა კომერციული ბანკის იპოთეკა შენარჩუნდა. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთი დემონსტრირებაა იმისა, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები მხოლოდ სს „ბანკი ქართუ“-ს მისამართით განხორციელებული სადამსჯელო ოპერაციაა;
 - ჩატარებული 92 საჯარო აუქციონიდან მხოლოდ 33 შემთხვევაში დაფიქსირდა ვაჭრობის ფაქტი. ბანკმა 31 აუქციონში მიიღო მონაწილეობა. მხოლოდ ამ 33 შემთხვევაში ქონების შემძენს (31 შემთხვევაში სს „ბანკი ქართუს“) „დაუდგენელი კონკურენტი“ გამოუჩნდა და მათ ყველა შემთხვევაში ნებისმიერ ფასად გაიმარჯვეს;
 - ბანკის 31-ვე მცდელობა მიეღო მონაწილეობა საჯარო აუქციონში უშედეგოდ დამთავრდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, აუქციონებში გამარჯვებულმა არცერთმა პირმა (33 შემთხვევა) არ გადაიხდა ქონების გაცხადებული ღირებულება, განმეორებითი აუქციონის ჩატარება არ ჩაითვალა მიზანშეწონილად და ეს ობიექტებიც სახელმწიფომ დაისაკუთრა ნატურით. ინფორმაცია ამ კომპანიების რეგისტრაციის და აუქციონში მონაწილეობისთვის

სავალდებულო 10% „ბე“-ს (ან საბანკო გარანტიის) თანხის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდის შესახებ ბანკისთვის ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა. ჯამში გადასახდელი „ბე“-ს თანხამ 9,504,455 ლარი შეადგინა. რაც კიდევ უფრო ნათელს ხდის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესები მხოლოდ საბაზია;

- ჩვენი ბანკის იმ კლიენტებიდან, ვისი ქონებაც აუქციონებზე გაიყიდა, 5 მათგანი არის სააქციო საზოგადოება, რომელთა ძირითად აქციონერს წარმოადგენს შესაბამისად 5 პირი. აღნიშნული ორგანიზაციები საკუთრებაში ფლობდნენ შესაბამისად 5 მსხვილ ობიექტს: ქ. თბილისი, ვეკუას ქუჩა #3, ქ. თბილისი, აგლაძის ქუჩა #37, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #60, ქ. თბილისი, იუმაშევის ქუჩა #4 და ოკაშში ღვინის ქარხანა. ზემოთაღნიშნული განხორციელებული უსამართლო ქმედებების შედეგად, გარდა ბანკისა, დაზარალდა ხსენებული სააქციო საზოგადოებების 1000-ზე მეტი წვრილი აქციონერი, რომლებმაც რეალურად დაკარგეს თავიანთი აქციების უკან მდგარი ქონება;
- საფონდო ბირჟის საიტზე www.gse.ge ქვეყნდება სააქციო საზოგადოებების ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებები და ეგზავნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს. ჩვენი 5 კლიენტი სააქციო საზოგადოებიდან 3 სააქციო საზოგადოება არის ამ ბაზაში და მათ ძალზედ მცირე საგადასახდო ვალდებულებები აქვთ მოცემული ანგარიშგებების მიხედვით;
- ორი ქონება წარმოადგენს ერთ-ერთი ცნობილი დეველოპერული კომპანიის ბინათმშენებლობას თბილისში (მდებარე, ფიქრის გორაზე და დიდმის მასივში), რომლის აუქციონზე რეალიზაციის შედეგად საკუთრების უფლება დაკარგა 100-ზე მეტმა ბინის მფლობელმა ოჯახმა;
- გადაფორმების შედეგად ზოგმა ობიექტმა 4 თვეში 4-ჯერ შეიცვალა მესაკუთრე, თუმცა ამ გარიგებების 100% უფულოდ (თანხის გადახდის გარეშე) განხორციელდა. ასევე არ გადახდილა დამატებული ღირებულების გადასახადი და აღმასრულებლის 7%-იანი ბაჟი;
- საყურადღებოა, რომ ნატურით დასაკუთრების შემდეგ სახელმწიფოს მიერ ამ ქონების გასხვისება/პრივატიზება უნდა მომხდარიყო ა) საჯარო აუქციონის გზით ან ბ) პირდაპირი მიყიდვის გზით. ა) საჯარო აუქციონის შესახებ ინფორმაციის ოფიციალური წყაროა www.eauction.ge და www.privatization.ge, სადაც აღნიშნულ ქონებებზე აუქციონები არ დაფიქსირებულა; ბ) პირდაპირი მიყიდვის გზით ქონების გასხვისებაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი შესაბამისი ბრძანებულების საფუძველზე, რაც სავალდებულო წესით „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს საიტზე გამოქვეყნებას მოითხოვს და დღემდე არ განხორციელებულა; ასევე არ ასახულა აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის საიტზე (სამართლებრივი აქტების ველში). ამასთან, როგორც ჩვენთვის ცნობილია, საგამოძიებო ჟურნალისტიკით დაკავებულმა სტუდია „G.N.S.“-მა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართა აღნიშნული შეკითხვით, რომელმაც პასუხად დაადასტურა, რომ ყველა აღნიშნული ქონება პირდაპირი მიყიდვის გზით არის გასხვისებული. თუ პრეზიდენტის ბრძანებულება არსებობს – გამოქვეყნებული უნდა იყოს; თუ გამოქვეყნებული არ არის – იურიდიული ძალა არ აქვს; თუ იურიდიული ძალა არ აქვს – ეკონომიკის სამინისტროს არ ჰქონდა ქონების გასხვისების უფლება; შესაბამისად ქონების დღევანდელი სტატუსი არის: უ კ ა ნ ო ნ ო!
- დამატებით ინფორმაციის მოძიება ვცადეთ საქართველოს მთავრობის საიტზე (სამართლებრივი აქტების ველში), თუმცა მხოლოდ 2012 წლის განკარგულებების ველი აღმოჩნდა under construction;

- სს „ბანკმა ქართუმ“, სხვადასხვა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა და საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთმა ფრაქციამ მიმართა საჯარო რეესტრს პრივატიზირებული ქონებების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ნასყიდობის ხელშეკრულება და სხვა) მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. საჯარო რეესტრის ამონაწერში ზოგადად მითითებულია, რომ ქონება გასხვისებულია „ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების პირობით“;
- “დაზარალებული” კომპანიები ჩვეულებრივ განაგრძობენ ფუნქციონირებას სახელმწიფოს მიერ “ჩამორთმეულ” ობიექტებში. ბანკმა ვერ მიიღო ინფორმაცია სახელმწიფოსთან საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ;
- თუ თავიდან ქონების უკან დაბრუნება დაიწყო „подставной“ პირების მიერ ახლად დაფუძნებულ კომპანიებზე, ბოლო რამოდენიმე შემთხვევაში უკვე ღიად და დაუფარავად განხორციელდა ეს პროცესი, მაგალითად: შპს „ბათოილის“, შპს „საქართველოს ღვინოები“, სს „ოკამის“ და სხვა შემთხვევაში, როდესაც ბანკის კლიენტი კომპანიის დამფუძნებლები თუ ხელმძღვანელი პირები ისევ გვევლინებიან ე.წ. პრივატიზაციის შედეგად „ქონების მიმღებ“ ახალშექმნილ კომპანიებში დამფუძნებელი თუ ხელმძღვანელი პირების სახით;
- 26/03/2012 წელს სს „ბანკი ქართუს“ აქციონერმა სს „ქართუ ჯგუფმა“ ოფიციალური წერილით საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების მინისტრს მიმართა და სურვილი გამოხატა 18 ობიექტის შეძენაზე და შესაბამისად ითხოვა აღნიშნული ქონებების საპრივატიზაციო პირობების შესახებ ინფორმაცია. წერილი დღემდე დარჩენილია უპასუხოდ. ამ პერიოდში უკვე პრივატიზირებულია აღნიშნული 18 ობიექტიდან 6 ობიექტი უცნობი პირობებით. ამასთან, ჩვენს მიერ მოხერხდა ერთ-ერთი „პრივატიზირებული“ ობიექტის ნასყიდობის ფასის დადგენა, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება აღმასრულებლის მიერ გაკეთებულ შეფასებას და ბანკის მიერ საჯარო აუქციონზე შეთავაზებულ ფასს;
- „ლოგოსის“ ბიზნეს-ჯგუფის შემთხვევაში მოხდა რამოდენიმე დარღვევა და ფაქტი:
 - ჯგუფის ქონებებზე მოხდა საგადასახადო იპოთეკა/გირავნობის წარმოშობა, შემდეგ აღმასრულებლის ყადაღის დადება, შემდეგ ყველა იპოთეკა/გირავნობის და ყადაღის მოხსნა, შემდეგ ბანკში დაგირავებული და დაუგირავებელი ქონებების გამიჯვნა, შემდეგ მესაკუთრეების ცვლილება, შემდეგ ისევ საგადასახადო იპოთეკა/გირავნობის წარმოშობა, შემდეგ აღმასრულებლის ყადაღის დადება; ამასთან, საინტერესოა მესაკუთრის ცვლილების ერთი ფაქტი: ერთი გასხვისებული ბინის მესაკუთრემ ნინო მაისურაძემ ბინა გადაუფორმა შპს „ლოგოსის“ 100% მესაკუთრეს გიორგი ისაკაძეს, რომელმა იმავე დღეს ბინა გადაუფორმა შპს „ლოგოსის“;
 - ამხანაგობა „თეთრი სახლის“ აუქციონზე გამოტანილ ქონებას გადაყვა შპს „ლოგოსის“ მომავალი საკუთრების უფლება, რამაც გამორიცხა ქონების შეძენით დაინტერესებული პირის გამოჩენის შესაძლებლობა და რომელიც თავის მხრივ როგორც შპს „ლოგოსის“ აქტივი რატომღაც არ გამოსულა აუქციონზე;
 - ამხანაგობა „თეთრი სახლის“ ქონებებზე აუქციონი ჩატარდა 23/02/2012 წელს, ხოლო იპოთეკარ ბანკს აღმასრულებლის შეტყობინება მოუვიდა 27/02/2012 წელს;


- შპს „ლოგოსის“ ქონებებზე 23/02/3012 წელს ჩატარებული აუქციონი მეორეჯერ თავიდან ჩატარდა 07/03/2012 წელს პირვანდელი უცვლელი პირობებით;
- სამ სხვადასხვა შემთხვევაში 1 ლოტად მოხდა დასრულებულ საცხოვრებელ კორპუსში არსებული რამოდენიმე საცხოვრებელი ბინის (მაგ.: ერთ შემთხვევაში 32 ბინის) ერთდროულად გამოტანა, რითაც განეიტრაღა ამ ბინების თავისუფალ საჯარო ვაჭრობაში არსებობის შანსი, რათა ეს ქონებაც სახელმწიფოს ზედმეტი გართულებების გარეშე დაესაკუთრებინა;
- „პროგრესის“ ბიზნეს-ჯგუფის შემთხვევაში მოხდა შემდეგი დარღვევები და ფაქტები:
 - შპს „პროგრესის“ ავტომატურად, რომლის პირვანდელი რეალური მესაკუთრე დამფუძნებლის მეუღლე იყო, მიმდინარე საჯარო აუქციონის დახურვის ვადა იყო 16.03.2012 წელი, რომელიც 16.03.2012 წელს შეიცვალა და გაგრძელდა 19.03.2012 წლამდე;
 - შპს „პროგრესის“ დამფუძნებელმა პირად საკუთრებაში არსებული ბინა რატომღაც სოლიდური ვალდებულებების მქონე კომპანიის კაპიტალში შეიტანა;
 - შპს „პროგრესის“ რეალურმა დამფუძნებელმა საქართველო დატოვა;
- რამოდენიმე აუქციონზე, სადაც სს „ბანკმა ქართუმ“ მიიღო მონაწილეობა „ვაჭრობა“ გაგრძელდა აღმასრულებლის შეფასებაზე მაღალ ფასამდე, ერთ შემთხვევაში 70%-ით მაღალ ფასამდე და განხორციელდა 99 ბიჯის მიცემა;
- შპს „ევორდი ბილდის“ მშენებარე საცხოვრებელ სახლზე აუქციონის წინ აშენებული იყო 2 სართული. მიუხედავად ქონების „ჩამორთმევისა“, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობის პირობებში „ყოფილი მესაკუთრე“ მშენებლობას პროექტის მიხედვით შეუფერხებლად და უპრობლემოდ აგრძელებს – ამ ეტაპზე აშენებულია 5 სართული;
- „ბათოილის“ ბიზნეს-ჯგუფის შემთხვევაში მოხდა შემდეგი დარღვევები და ფაქტები:
 - შპს „ბათოილის“ ზეთის ქარხანა განთავსებულია 3 მიწის ნაკვეთზე: 21 ათასი კვ.მ, 3 ათასი კვ.მ და 2 ათასი კვ.მ. მათ შორის, 21 ათასი კვ.მ იყო სს „ბანკი ქართუ“-ს სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული, ხოლო დანარჩენი 2 ნაკვეთი – სხვა კომერციული ბანკის სასარგებლოდ. ქონების ჩამორთმევის ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ სს „ბანკი ქართუ“-ს სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულმა ქონების ნაწილმა, ხოლო მეორე ნაწილი ხელუხლებლად დარჩა;
 - შპს „ბათოილის“ ზეთის ქარხნის დანადგარების გასხვისება უკანონოდ (მოგირავნესთან შეუთანხმებლად) მოხდა;
 - „ბათოილის“ ბიზნეს-ჯგუფის აქტივები აუქციონამდე ფიქტიურად გასხვისდა 1 თვიანი განვადებით. აუქციონი ჩატარდა 1 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, როცა ნასყიდობის თანხა ჯერაც არ იყო გადახდილი;
 - „ბათოილის“ ჯგუფის წევრმა შპს „ქაუქასუს სირიალ კომპანიმ“ 1 თვიანი ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულებებით 10/11/2011 წელს შეიძინა „ბათოილის“ ჯგუფის 2 ძვირადღირებული ობიექტი 15,065,593 ლარად მაშინ, როდესაც თავად ჰქონდა გადაუხდელი მიმდინარე საბიუჯეტო დავალიანება, რომელიც რამოდენიმე დღეში 20 მლნ. ლარამდე გაიზარდა, რაც დღემდე გადაუხდელია;
 - ბანკის მიმართ არსებული ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანების გადახდევინების მიზნით დაწყებული იყო სააღსრულებო პროცესი და დადგენილი წესით ბანკს წინასწარ გადახდილი ჰქონდა შესაბამისი სააღსრულებლო მომსახურების 2% საფასური 421 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბანკს დღემდე არ დაბრუნებია. ამ შემთხვევაში,

- 2 ბიზნეს ჯგუფის შემთხვევაში მსხვილი საინვესტიციო პროექტი ბანკს სინდიცირებულად ჰქონდა დაფინანსებული 3 სხვა კომერციულ ბანკთან ერთად. მათ ჰქონდათ მეორე და მესამე რიგის იპოთეკის/გირავნობის უფლება სს „ბანკი ქართუ“-ს შემდეგ. აუქციონების შედეგად გაუქმდა მათი მოთხოვნის უფლებებიც, მაგრამ არცერთი მათგანი დღემდე პროტესტს არ გამოთქვამს;
- ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკის მსესხებელს, რომელმაც სს „ბანკ ქართუში“ საკრედიტო განაცხადი გააკეთა, საკანონმდებლო ცვლილების მოქმედების პერიოდში აღმოაჩნდა 2004 წლიდან წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულება, თუმცა ბანკის იპოთეკის წარმოშობის თარიღზე (2003 წ.) გვიან, რის შედეგადაც ბანკი არ დაზარალდა.

მაგალითი: ჯგუფი „პირიმზე“

(კოდუა-ლაქავას ოდიოზური და ოლიგარქიული კლანი)

ნოდარ კოდუას და ლაურა ღაჭავას შვილი და დავით კოდუას ძმა ერეკლე კოდუა არის საქართველოს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე და მფარველობს ოჯახის ბიზნესებს



- შპს “სამკერვალო სახლი ლაურა ღაჭავაძე” – 100% ლაურა ღაჭავაძე
- შპს “სამკურნალო კომბინატი” (DKC) – 100% ლაურა ღაჭავაძე
- შენიშვნა: მოცემულია მხოლოდ სს “ბანკი ქართლ”-სთან დაკავშირებული კომპანიები

ბანკის საწინააღმდეგოდ განხორციელებული სქემა (ქრონოლოგიურად):

- 03/10/2007 წ. – სს „პირიმზემ“ და მისმა აქციონერმა ლაურა ლაჭავამ სს „ბანკ ქართუ“-ში გააკეთეს საკრედიტო განაცხადი;
- 17/10/2007 წ. – სს „პირიმზეს“ ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხებოდა (წარმოდგენილია შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- 14/05/2008 წ. – საჯარო აუქციონზე გამოვიდა ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ვეკუას ქ. #3-ში მდებარე შენობის მეხუთე სართულის 640.16 კვ.მ და მეექვსე სართულის 639 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთი საწყისი ფასით 1,350,000 ლარი, აუქციონის ბიჯით 20,000 ლარი; საყურადღებოა, რომ აღნიშნული 2 სართული სს „პირიმზის“ გასული წლების საგადასახადო ვალდებულებების შედეგად გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში;
- 19/07/2010 წ. – ბანკსა და სს „პირიმზეს“ შორის გაფორმდა სასამართლო მორიგება;
- 04/11/2011 წ. – სს „პირიმზეს“ გააჩნდა საბიუჯეტო ზედმეტობა 200 ათას ლარამდე ოდენობით (წარმოდგენილია შესაბამისი შედარების აქტი);
- 11/2011 წ. – „მაესტროს“ ეთერში გადაცემა „სუბიექტურ აზრში“ მონაწილეობა მიიღო ლაურა ლაჭავას ერთ-ერთმა ვაჟმა გიორგი კოდუამ და ისაუბრა სახელმწიფოს მხრიდან მისი კუთვნილი ავიაკომპანიის „სქაი ჯორჯიას“ შევიწროვებაზე;
- 11/2011 წ. – კოდუების ოჯახის წევრებს ჯანმრთელობის პრობლემები ერთდროულად შეექმნათ, კერძოდ: ბანკის მსესხებელ ლაურა ლაჭავას გულის შეტევა, ხოლო ბანკის მსესხებელ დავით კოდუას თირკმლის კენჭის გავლა მოუვიდათ;
- 15/11/2011 წ. – „პირიმზის“ ბიზნეს ჯგუფის საკრედიტო დავალიანება სს „ბანკი ქართუ“-ს მიმართ სამ ათეულ მილიონ ლარზე მეტს შეადგენდა;
- 24/11/2011 წ. – სს „პირიმზემ“ 13,103,978 ლარად შეიძინა შპს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფის“ (ამ ახალ შექმნილ კომპანიას არ შეიძლება ჰქონოდა წინა პერიოდის საბიუჯეტო დავალიანება) და შპს „1+1“-ის ქონებები 12 თვიანი გადახდის განვადებით;
- 25/11/2011 წ. – სს „პირიმზეს“ „აღმოაჩნდა“ 107,134,234 ლარის საგადასახადო ვალდებულება; დავალიანება „აღმოაჩნდა“ ხანდაზმულობის ვადის გასვლის ბოლო მომენტში – 2005 წელს (01/01/2012 წლიდან 2005 წელი მიეკუთვნა საგადასახადო ამნისტირებულ პერიოდს ექვს წლიანი ხანდაზმულობის ვადის არსებობის გათვალისწინებით და საბუღალტრო დოკუმენტაციაც განადგურებულია) და რაც მთავარია დაუჯერებელი მოცულობით, მათ შორის 25 მლნ. ლარი სოცდაზღვევის ანარიცხებზე – შეუძლებელია კონკრეტულ ბიზნესსტრუქტურას (საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი) 100 მლნ. ლარის ხელფასი დაერიცხა 2004 წლის განმავლობაში. ამასთან, „საქსტატის“ ოფიციალური მონაცემებით, 2004

წელს საყოფაცხოვრებო საქონლის და პირადი მოხმარების საგნების რემონტის” დარგის ბრუნვის მოცულობა არა-სახელმწიფო სექტორში საქართველოში ჯამში მხოლოდ 7,8 მლნ. ლარს შეადგენდა, ხოლო დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 34.6 ლარს შეადგენდა;

- 25/11/2011 წ. – საგადასახადო იპოთეკა/გირავნობები დაედო 11 დასახელების უძრავ-მოძრავ ქონებას (9 ობიექტს), რომელიც სს “ბანკი ქართუ”-ში არსებული საკრედიტო დავალიანების უზრუნველყოფას წარმოადგენდა;
- 30/11/2011 წ. – აღმასრულებლის მიერ დაედო ყადაღა იმავე 11 დასახელების უძრავ-მოძრავ ქონებას (9 ობიექტს), რომელიც სს “ბანკი ქართუ”-ში არსებული საკრედიტო დავალიანების უზრუნველყოფას წარმოადგენდა;
- 11/2011 წ. – თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #33-ში მდებარე ობიექტზე მოხდა შეთანხმება ინვესტორთან თვეში 43,000 აშშ დოლარად 10 წლით იჯარით გადაცემის შესახებ 2012 წლის მარტიდან;
- 11-12/2011 წ. – ბანკმა ჯგუფში შემავალ მსესხებლებს მიმართა არაერთი უპასუხოდ დარჩენილი ოფიციალური გამაფრთხილებელი წერილით;
- 12/2011 წ. – ყველა კონკრეტულ საქმეზე შესაბამისი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილია ბანკის განცხადებები უზრუნველყოფის ღონისძიების სახით აღსრულების შეჩერების (ქონებათა ნებისმიერი სახით გასხვისების აკრძალვის) და ყადაღის დადების მოთხოვნით. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ხსენებული განცხადებები. ბანკმა ყველა განჩინება გაასაჩივრა სააპელაციო წესით, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებები ანუ ბანკის კანონიერი მოთხოვნა შეჩერებულიყო უკანონო სააღსრულებო პროცესი არ დაკმაყოფილდა;
- 19-22/12/2011 წ. – ჩატარდა საჯარო აუქციონები. ბანკმა 2 აუქციონში მიიღო მონაწილეობა. ელექტრონულ აუქციონში მაქსიმალური ფასი დააფიქსირა სს „smithjuniorandcompany“-მ. გამარჯვებულმა კომპანიამ არ გადაიხადა შეძენილი ქონების გაცხადებული ღირებულება. ბანკმა ვერ მიიღო ინფორმაცია აუქციონის 10% ბე-ს თანხის (1,122,500 ლარი) გადახდის შესახებ;
- ერთ-ერთი აუქციონი, სადაც ბანკმა მიიღო მონაწილეობა, “კონკურენტის” მიერ მორიგი ბიჯის მიცემის შემდეგ დადგენილ ვადაზე ადრე შეწყდა და ბანკს არ მიეცა მომდევნო ბიჯის განხორციელების საშუალება;
- 12/2011 წ. – ქონებების 100% ნატურით და უფლებრივად უნაკლოდ დაისაკუთრა სახელმწიფომ და შესაბამისად სს „ბანკი ქართუ“-ს ყველა იპოთეკა და გირავნობა გაუქმდა;

- “დაზარალებული” კომპანიები ჩვეულებრივ განაგრძობენ ფუნქციონირებას სახელმწიფოს მიერ “ჩამორთმეულ” ობიექტებში. ბანკმა ვერ მიიღო ინფორმაცია სახელმწიფოსთან საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ;
- 03/02/2012 წ. – სახელმწიფომ “პირიმზის” ჯგუფის 11-ვე უძრავი და მოძრავი ქონება (9 ობიექტი) ერთ დღეს გაყიდა ყოფილი მესაკუთრის ნდობით აღჭურვილი პირების მიერ დაფუძნებულ კომპანიებზე, რითაც აღნიშნული ქონებები ფაქტიურად დაუბრუნა ყოფილ მესაკუთრეებს (გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია ვალდებულებების ?! შესრულება); ამასთან, სს “პირიმზის” შვიდივე და შპს “სამკურნალო კომბინატის” ერთი აბსოლუტურად არაერთგვაროვანი ობიექტი (საყოფაცხოვრებო მომსახურება, საოფისე შენობა, დეველოპერული ობიექტი, სამკურნალო დაწესებულება) ერთმა პირმა ერთ დღეს შეიძინა;
- საყურადღებოა, რომ ამ ქონების სახელმწიფოს მიერ გაყიდვა უნდა მომხდარიყო ან საჯარო აუქციონის გზით, რაც არ მომხდარა ან პირდაპირი მიყიდვის გზით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, რაც „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში გამოქვეყნებას მოითხოვდა და დღემდე არ განხორციელებულა. ბანკმა მიმართა საჯარო რეესტრს ქონებების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ნასყიდობის ხელშეკრულება და სხვა) მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ;
- 11/02/2012 წ. – თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #33-ში მდებარე (ზემოთხსენებულ) ობიექტზე გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება (ზემოთხსენებულ) ინვესტორთან – შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი-სი-არ“-თან (რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში) (ზემოთხსენებული პირობებით) თვეში 43,000 \$-ად 10 წლით და დაიწყო ობიექტზე სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები, რისთვისაც, ჩვენი ინფორმაციით, მესაკუთრის მიერ ერთ-ერთი ბანკიდან მოხდა სესხის აღება საიჯარო კონტრაქტის უზრუნველყოფით;
- 20/02/2012 წ. – “პირიმზის” ჯგუფში შემავალ არცერთ მსესხებელზე არ არის წარმოდგენილი „აღმოჩენილი“ ვალდებულებების შესაბამისი საგადასახადო ინკასო საბანკო ანგარიშებზე, რაც უნდა წარმოადგენდეს შემოსავლების სამსახურის მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ ოპერატიულად დავალიანების გადამხდელიდან ამოღების მექანიზმს, რაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს იმ აზრს, რომ ხელისუფლების მიზანი არა საბიუჯეტო დავალიანების ამოღება, არამედ სს “ბანკი ქართუ“-ს სესხების უზრუნველყოფების ბანკისთვის ჩამორთმევა წარმოადგენს;
- 24/02/2012 წ. – „რუსთავი 2“-ს ეთერში გადაცემა „ბიზნეს კურიერი“ ბიზნესმენ ლაურა ღაჭავას და მის წარმატებულ „სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ღაჭავას“ მიეძღვნა;
- 24/11/2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება, 19-22/12/2011 წლის საჯარო აუქციონები და 03/02/2012 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებები თანხის გადახდის გარეშე განხორციელდა. ასევე არ გადახდილა დამატებული ღირებულების გადასახადი და აღმასრულებლის 7%-იანი ბაჟი;

- 04/2012 წ. – ბანკმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, სს „პირიმზის“ და მასთან დაკავშირებული კომპანიის (შ.პ.ს "1+1") მიმართ და მოითხოვა შემოსავლების სამსახურის მიერ უკანონოდ მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა (რომელთა საფუძველზეც სს „პირიმზის“ ქონებაზე დარეგისტრირდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა) და ზიანის ანაზღაურების მიზნით მოპასუხეთათვის სოლიდარულად 8,258,650.62 აშშ დოლარის დაკისრება. პროცესი ჯერ–ჯერობით არ ჩანიშნულა. ამასთანავე, ბანკმა სამოქალაქო სამართლებრივი სარჩელებით მოითხოვა სს „პირიმზის“ და მასთან დაკავშირებული კომპანიებისაგან ნაკისრი სასესხო ვალდებულებების შესრულება. ამ შემთხვევაშიც სასამართლო განხილვა ჯერ არ დაწყებულა;
- 04/2012 წ. – ლაურა ღაჭავას ოჯახისგან დაზარალებულმა სს „პირიმზის“ ერთ–ერთმა აქციონერმა ბანკს მომართა დახმარებისთვის;
- 03/05/2012 წ. – ლაურა ღაჭავა დაჯილდოვდა ოქროს სტატუსის მქონე კომპანიის სახელით. ჯილდო ოფიციალურად გადასცა კახა ბაინდურაშვილმა – საქართველოს სავაჭრო–სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა (ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა).
- 10/05/2012 წ. – თბილისში, ქავთარაძის ქ. #16–ში მდებარე ე.წ. „ლეჩკომბინატს“ მას შემდეგ, რაც ის შეიძინა ლაურა ღაჭავას ოჯახმა ეწოდა „დავით კოდუას კლინიკა“. დღესაც სამედიცინო დაწესებულების ცენტრალურ შესასვლელს უცვლელად აწერია აბრივიატურა „DKC“ – „დავით კოდუას კლინიკა“. იმავე შინაარსის მატარებელი უნდა იყოს 12/01/2012 წელს ეკატერინე პაპავაძის მიერ შექმნილი შპს „დეკა“ (ინგ. “DEKA” LTD), რომელმაც 03/02/2012 წელს შეიძინა აღნიშნული ობიექტი.

1. პირიმზე – თბილისი, ვეკუას ქ. 3 (9 260 კვ.მ – 14,180,000 ლარი)



2. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 33 (4 085 კვ.მ – 9,950,000 ლარი)



3. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 29 (3 696 კვ.მ – 7,300,000 ლარი)



4. თბილისი, მეღიქიშვილის ქ. 5 (2 587 კვ.მ – 5,150,000 ლარი)



5. თბილისი, მელიქიშვილის ქ. 10 (2 214 კვ.მ – 5,000,000 ლარი)



6. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 60 (1 670 კვ.მ – 8,000,000 ლარი)



7. თბილისი, არაყიშვილის ქ. 8 (342 კვ.მ – 1,990,000 ლარი)



8. თბილისი, ჭირნახულის 1 (20 000 კვ.მ – 6,690,500 ლარი)



9. თბილისი, ქავთარაძის ქ. 16 (12 195 კვ.მ – 18,440,000 ლარი)



სახელმწიფოს მიერ დასაკუთრებული ობიექტები:

მისამართი	შენობა (კვ.მ)	აღმასრულებლის შეფასება (ლარი)
თბილისი, ვეკუას ქ. 3	8 142	12,500,000
(მიწისქვეშა ავტოსადგომის აღნაგობის უფლება)	1 118	1,680,000
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 33	4 085	9,950,000
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 29	3 696	7,300,000
თბილისი, მელიქიშვილის ქ. 5	2 587	5,150,000
თბილისი, მელიქიშვილის ქ. 10	2 214	5,000,000
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 60	1 670	8,000,000
თბილისი, არაყიშვილის ქ. 8	342	1,990,000
თბილისი, ჭირნაზულის 1	20 000	5,790,000
(ფაბრიკის დანადგარები)	–	900,500
თბილისი, ქავთარაძის ქ. 16	12 195	18,440,000
	56 049	76,700,500

სახელმწიფოს მიერ ობიექტების დაბრუნება:

მისამართი	ქონების მიმღები	დირექტორი –100% მფლობელი
თბილისი, ვეკუას ქ. 3	შპს “PP”	ეკატერინე პაპავაძე
(მიწისქვეშა ავტოსადგომის აღნაგობის უფლება 2057 წლამდე)	შპს “PP”	ეკატერინე პაპავაძე
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 33	შპს “PP”	ეკატერინე პაპავაძე
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 29	შპს “PP”	ეკატერინე პაპავაძე
თბილისი, მელიქიშვილის ქ. 5	შპს “PP”	ეკატერინე პაპავაძე
თბილისი, მელიქიშვილის ქ. 10	შპს “PP”	ეკატერინე პაპავაძე
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 60	შპს “კოლოსი XXI”	გელა დავაძე
თბილისი, არაყიშვილის ქ. 8	შპს “PP”	ეკატერინე პაპავაძე
თბილისი, ჭირნახულის 1	შპს საფინანსო სერვის ცენტრი “პროფიტ დევიზი”	ნანული ფარცვანია
(ფაბრიკის დანადგარები)		
თბილისი, ქავთარაძის ქ. 16	შპს “დეკა”	ეკატერინე პაპავაძე

ინფორმაცია ქონებების შემძენების შესახებ:

- შპს „PP“, ს/კ 404922474, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. #8, ბინა 24, დაფუძნების თარიღი 15/12/2011 წ., 100% დამფუძნებელი და დირექტორია ეკატერინე პაპავაძე, აშშ-ს მოქალაქე, ჩვენი ინფორმაციით, ერეკლე კოდუას გარდაცვლილი მეგობრის და.
ეკატერინე პაპავაძე ასევე არის შპს „PEK“-ის 100% დამფუძნებელი და დირექტორი. ამ კომპანიის საკუთრებაში იყო თბილისში, ღვინის აღმართის კუთხეში მდებარე 3 სართულიანი შენობა, რომლის რეალური მესაკუთრე იყო ნანუკა ჟორჟოლიანი (ერეკლე კოდუას მეუღლე). იგი აპირებდა რესტორნის გახსნას. აღნიშნულთან დაკავშირებით, მესაკუთრემ გააკეთა საკრედიტო განაცხადი სს „ბანკი ქართუ“-ში, რომელიც არ დაკმაყოფილდა. ამ ქონების დიდი ნაწილი გასხვისებულია 12/12/2011 წელს შპს „კოპალაზე“.
- შპს „დეკა“, ს/კ 404925747, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. #8, ბინა 24, დაფუძნების თარიღი 12/01/2012 წ., 100% დამფუძნებელი და დირექტორია ეკატერინე პაპავაძე.
- შპს „კოლოსი XXI“, ს/კ 206335474, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. #35, კორპ. 4, ბინა 1, დაფუძნების თარიღი 13/10/2008 წ., 100% დამფუძნებელი და დირექტორია გელა დავაძე.
- შპს „საფინანსო სერვის ცენტრი პროფით დევიზი“, ს/კ 206270033, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჭირნახულის #1, დაფუძნების თარიღი 17/01/2007 წ., 02/12/2011 წლიდან 100% დამფუძნებელი და დირექტორია ნანული ფარცვანია.
ნანული ფარცვანიამ 02/12/2011 წელს ასევე შეიძინა ნოდარ კოდუას საკუთრებაში არსებული სახლის არაიზოლირებული ნაწილი თბილისში, რაზმაძის ქუჩაზე.

შენიშვნა: ქონებების დაბრუნების დროს საჭირო ადამიანების რიცხვის შესამცირებლად ყველა ამ კომპანიის 100% დამფუძნებელიც და დირექტორიც არის მხოლოდ ერთი პირი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ტ) ქვეპუნქტის შესაბამისად ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განმარტებულია როგორც – საჯარო რეესტრსა და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის თავისუფალი გაცნობისა და გაცემის უზრუნველყოფა. იმავე კანონის მე-6 მუხლის (ინფორმაციის ხელმისაწვდომობა) პირველი პუნქტის მიხედვით „საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.“ ხსენებული კანონის მე-7 მუხლი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის წარმოებისა და ხელმისაწვდომობის ზოგად პრინციპებს, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით „სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი.“

ხსენებული საკანონმდებლო რეგულაციით იმპერატიულად დადგენილი და გარანტირებული, საჯარო რეესტრში დაცული ინფორმაციის გაცემის საჯაროობის პრინციპების მიუხედავად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დღემდე ყოვლად უკანონოდ უარს აცხადებს იმ ხელშეკრულებათა ასლების გაცემაზე, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოს მიერ დასაკუთრებული ქონების ნაწილი (რომლებიც წარმოადგენდნენ ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს) სავარაუდოთ „პირდაპირი მიყიდვის წესით“ გადაეცა ქონებათა ყოფილ მესაკუთრეებს (რომლებიც, ხსენებულ კონტრაქტებში წარმოდგენილნი არიან მესამე პირების სახით)

სს „ბანკი ქართუ“ 2006 წლიდან წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებულ მომხმარებელს და ბანკის იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლის მეშვეობით (რომელიც ამავდროულად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელსაც წარმოადგენს) ახორციელებს საჯარო რეესტრის ფუნქციებთან დაკავშირებულ ურთიერთქმედებას საბანკო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ხსენებულ საკითხებში ბუნებრივია შედის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული საჯარო ინფორმაციის, მათ შორის სხვადასხვა სახის ხელშეკრულებათა დამოწმებული ასლების გამოთხოვა. 2006 წლიდან და 2012 წლამდე ბანკს არ შეეძინა რაიმე სახის პრობლემა ზემოხსენებულ საქმიანობაში, თუმცა 2012 წლიდან, კერძოდ მას შემდეგ რაც შეთანხმებისამებრ, სახელმწიფომ დაიწყო დანაშაულებრივი სქემით მიტაცებული ქონების ყოფილ მესაკუთრეთათვის დაბრუნება, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცულმა ინფორმაციამ - ნასყიდობის ხელშეკრულებებმა როგორც ჩანს, „უეცრად დაკარგა საჯაროობის სტატუსი“ და „ხელმისაწვდომი ინფორმაციის“ კატეგორიიდან გადაინაცვლა „საიდუმლო ინფორმაციის“ კატეგორიაში. ბანკის აღნიშნული თანამშრომლის არაერთი განაცხადი ხსენებულ ხელშეკრულებათა ასლების გამოთხოვაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების მხრიდან დარჩა ყოველგვარი რეაგირების გარეშე. ჩვენ საჩივრებით მივმართეთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსაც, როგორც ზემდგომ ორგანოს, თუმცა არც ამ შემთხვევაში ჰქონია რაიმე რეაგირებას ადგილი. ხსენებული ქმედებით სააგენტო არღვევს მისი საქმიანობის მარეგულირებელ როგორც კანონს ასევე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს (ინსტრუქციას), რომელიც არეგულირებს როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემის წესს ასევე გაცემის ვადებს. ბუნებრივია ჩნდება დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ან ხსენებული ხელშეკრულებები საერთოდ არ არის დაცული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულთან (სულ მცირე საბუთების გაყალბება), ან ხსენებული ხელშეკრულებები შეიცავენ ისეთ ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც, სახელისუფლებო ძალების აზრით, კიდევ უფრო გამოააშკარავებს ბანკის მიმართ ჩადენილი ქმედებების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს.

ხელისუფლების მიერ სს „ბანკი ქართუ“-ს წინააღმდეგ ჩატარებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობა მიიღო ბანკის 13 მსესხებელმა ბიზნეს ჯგუფმა (30 კლიენტი). ჯამში 92 ჩატარებულ საჯარო აუქციონზე გავიდა სს „ბანკი ქართუს“ სასარგებლოდ იპოთეკით/გირავნობით დატვირთული 195 ერთეული უძრავ-მოდრავი ქონება საერთო ღირებულებით 190 მლნ. ლარი. აღნიშნულ ქონებებს დაგირავების მომენტში ჰყავდა 42 მესაკუთრე, ხოლო აუქციონების ჩატარების მომენტში – 26 მესაკუთრე (მათი რაოდენობის ხელოვნური შემცირება ამ ქონებების ფიქტიური გადაყიდვების და სპეცოპერაციის ოპტიმიზაციის შედეგად განხორციელდა). შედეგად, 2012 წლის I კვარტლის მდგომარეობით, ბანკს არაუზრუნველყოფილი დარჩა 125 მლნ. ლარის მოცულობის საკრედიტო ვალდებულებები, რის შედეგადაც ბანკმა საკრედიტო პორტფელის 28,5% ჩამოწერა

საბალანსო ანგარიშებიდან. ამასთან, 2011 წლის IV კვარტალში და 2012 წლის I კვარტალში დაფიქსირდა ბანკის კლიენტების ნაწილის მიგრაცია სხვა კომერციულ ბანკებში. მოსალოდნელი ზარალის უარყოფითი შედეგების (საბანკო ნორმატივების შესაძლო დარღვევა) პრევენციის მიზნით ბანკმა ადექვატურად გაზარდა საზედამხედველო კაპიტალი, დაიფარა ინსაიდერი კლიენტების საკრედიტო ვალდებულებების უდიდესი ნაწილი. ზემოთაღნიშნული სამივე ძირითადი ფაქტორის ერთობლივი უარყოფითი ზემოქმედების შედეგად, ბანკის საკრედიტო პორტფელი 43,2%-ით შემცირდა. შესაბამისად შემცირდა ბანკის აქტივებიც. ამასთან, ბანკმა 15-წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად 2012 წლის I კვარტალი 75 მლნ. ლარიანი ზარალით დახურა. მიუხედავად აღნიშნულისა, სს „ბანკი ქართუ“ კვლავაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე უფრო მაღალი ლიკვიდობის მქონე საფინანსო ინსტიტუტად საქართველოში.

ბანკის ძირითადი მაჩვენებლები (მლნ. ლარი):

	30.09.2011	31.12.2011	31.03.2012
აქტივები	532,4	433,8	343,5
პორტფელი	435,1	366,0	247,2
საზედ. კაპიტალი	250,0	303,0	253,9
ლიკვიდობა	58%	48%	63%
ადგილი (აქტივები)	VI	VII	IX
ადგილი (პორტფელი)	V	V	VII

“ალბათობის თეორია”

- საქართველოს 19 კომერციული ბანკიდან მხოლოდ სს „ბანკი ქართუ“-ს კლიენტებს აღმოაჩნდათ სოლიდური საგადასახადო ვალდებულებები;
- მათ ერთდროულად გაუჩნდათ საგადასახადო ვალდებულებების აღიარების სურვილი;
- აღმოჩენილი/აღიარებული საგადასახადო ვალდებულებების 100% აღმოჩნდა ბანკის იპოთეკების წარმოშობაზე ხანდაზმული;

- 1 ბიზნეს ჯგუფში შემავალ ყველა კომპანიას (ზოგ შემთხვევაში 7-ს ერთდროულად) აღმოაჩნდათ სოლიდური საბიუჯეტო ვალდებულებები და ყველა ბანკის იპოთეკაზე ადრეულ ეტაპზე;
- ჩატარებულ 92 საჯარო აუქციონზე გამოტანილი ქონებების 100% სახელმწიფომ დაისაკუთრა;
- ჩატარებულ 92 საჯარო აუქციონზე “ქონების შემენით დაინტერესებული პირი – კონკურენტი” გამოჩნდა მხოლოდ იმ 31 აუქციონზე, სადაც ბანკმა მიიღო მონაწილეობა. ამასთან, ყველა შემთხვევაში, ქონების აუქციონზე შემენი თანხას აღარ იხდის, აღარ ინიშნება განმეორებითი მეორე აუქციონი და ქონებას ნატურით ისაკუთრებს სახელმწიფო;
- სს “პირიმზის” შვიდივე ობიექტი და შპს “სამკურნალო კომბინატის” ერთი ობიექტი ერთმა პირმა ერთ დღეს შეიძინა;
- სასამართლოზე და აღმასრულებლებზე ბანკის მიმართულების 100% არ დაკმაყოფილდა;
- კანონის თანაბრად ამოქმედების შემთხვევაში:
 - სს “ბანკი ქართუ”-ს 125 მლნ. ლარი ფინანსური ზარალის შესაბამისად;
 - სს “საქართველოს ბანკი” მიიღებდა ზარალს 965 მლნ. ლარის ოდენობით;
 - სს “თიბისი ბანკი” – 725 მლნ. ლარის ოდენობით;
 - სს “პროგრედიტ ბანკი” – 245 მლნ. ლარის ოდენობით;
 - სს “რესპუბლიკა ბანკი” – 170 მლნ. ლარის ოდენობით;
 - სს “ლიბერთი ბანკი” – 125 მლნ. ლარის ოდენობით;
 - სს “ვითიბი ბანკი” – 110 მლნ. ლარის ოდენობით.
 - 19 კომერციული ბანკი (ჯამში) – 2,8 მლრდ. ლარის ოდენობით.
- და სხვა უამრავი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ვფიქრობთ ყოველივე ზემოთქმული ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების სწრაფვას ნებისმიერი უსამართლო, თუ უკანონო ქმედებით შეუქმნას სს „ბანკ ქართუ“-ს სიღრმისეული ფინანსური პრობლემები, რათა დაირღვეს სავალდებულო ნორმატივები და ხელოვნურად შეექმნას საქართველოს ეროვნულ ბანკს დროებითი ადმინისტრაციის ბანკში შემოყვანის საფუძველი.

ქართული საზოგადოების აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ ნაწილს კარგად მოეხსენება, რომ ა.წ. 20 აპრილს ქვეყნის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საქართველოს პარლამენტის მიერ ა.წ. 30 მარტს მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლითაც გაუქმდა სააღსრულებო და საგადასახადო კანონმდებლობაში გასული წლის ოქტომბერში შეტანილი სკანდალურად გახმაურებული ცვლილებები.

ამ გადაწყვეტილებით საკანონმდებლო ორგანომ და უპირველესად ქვეყნის პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვნად დაადასტურეს, რომ აღნიშნულ ცვლილებებს არც ქვეყნის ბიუჯეტზე ზრუნვა ედო საფუძვლად და არც ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკასთან მიახლოებისა თუ გათანაბრების დაუოკებელი ლტოლვა, რამეთუ სახელმწიფო ბიუჯეტს ფაქტობრივად არც არაფერი მიუღია – სს „ბანკი ქართუ“-სთვის ჩამორთმეული ქონების უდიდედესი ნაწილი სხვადასხვა

დანაშაულებრივი სქემით უკვე დაუბრუნდა თავდაპირველ მფლობელებს, დანარჩენი ჯერ ისევ სახელმწიფო საკუთრებაშია და ელოდება ანალოგიური სქემის განხორციელებას. რაც შეეხება მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში ვითომდა არსებულ ანალოგიურ პრაქტიკაზე აპელირებას, აქაც ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში კომპეტენტური დასკვნა გააკეთა ამერიკის სავაჭრო პალატის საგადასახადო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, რომელმაც მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, შესაძლო მოკლე დროში აღედგინათ კანონმდებლობაში ცვლილებებამდელი რედაქცია, რაც დააზღვევდა ქვეყანასა და მის საბანკო სექტორს გაუმართლებელი რისკებისგან, ამასთან სრულ შესაბამისობაში მოვიდოდა განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან, მით უფრო რომ არც კანონმდებლებს განუცხადებიათ რომ საკანონმდებლო უკუსვლა ამ შემთხვევაში ცივილიზებულიობაზე უარის თქმის ტოლფასიაო.

მიზანი მხოლოდ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებულ ბიზნეს სტრუქტურაზე სს „ბანკი ქართუ“-ზე პოლიტიკურად მოტივირებული ტერორის განხორციელება იყო, რაც წარმატებით აღასრულა ხელისუფლების ყველა შტომ ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს ეროვნული ბანკის აქტიური მონაწილეობითა და ქვეყნის საბანკო სექტორისა და სახელმწიფოში მომქმედი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების უტყვი თანხმობით.

შედეგად, განხორციელდა სს „ბანკ ქართუ“-ში დაგირავებული 190 მლნ. ლარის ქონების აშკარა ექსპროპრიაცია, რამაც 125 მლნ. ლარის პირდაპირი ზარალი მიაყენა ბანკს.

შემთხვევით არც გასულის წლის ნოემბრამდელი სტატუსკვოს აღდგენის პერიოდია შერჩეული, ჩვენ დიდი ხნის წინ და არაერთგზის ვაცნობეთ საზოგადოებას, რომ თუ ა.წ. აპრილის შუა რიცხვებამდე ეს დრაკონული კანონი არ გაუქმდებოდა, პრობლემები შეექმნებოდა საქართველოს მთელ საბანკო სისტემას, რითაც საქართველოს ხელისუფლება დაარღვევდა საბანკო დაწესებულებების წინაშე დადებულ პირობას, რომ პოლიტკანონშემოქმედება მათ არ შეეხებოდათ და სწორედ ამ პირობით „იყიდეს“ მთელი ქართული საბანკო საზოგადოებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დუმილი, რაც ასე ძვირად დაუჯდა სს „ბანკ ქართუ“-ს, რამეთუ ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ ის, და არცერთი სხვა ბანკი, აღმოჩნდა აღნიშნული ტერორის ობიექტი.

მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას და პირადად ქვეყნის პრეზიდენტს, თუ საკანონმდებლო ცვლილებები გასული წლის ოქტომბერში დაშვებული შეცდომის აღიარება და მისი გამოსწორების მცდელობაა და არა სს „ბანკ ქართუ“-ს წინააღმდეგ გამოყენებული სადამსჯელო ოპერაციის ვირუსისაგან დანარჩენი საბანკო სისტემის დაცვა, მიეცით კანონს უკუქმედების ძალა, აღადგინეთ სამართლიანობა და დაგვიბრუნეთ უკანონოდ, დანაშაულებრივი სქემებით ჩამორთმეული ქონებები.

სამწუხაროა, რომ ასეთი აღვირახსნილი ვოლუნტარიზმი მიმდინარეობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების უტყვი თანხმობის პირობებში, მაშინ როდესაც თითოეულ ამ ინსტიტუტს უზარმაზარი ფინანსური თუ ტექნიკური რესურსი აქვს ჩადებული საქართველოში ცივილიზებული საბანკო სისტემის ჩამოყალიბების, ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საქმეში.

გავიხსენოთ ქართული სახელმწიფოსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმატებული თანამშრომლობის საეტაპო მიღწევები:

- მსოფლიო ისტორიაში ერთერთი უსაშინლესი ჰიპერინფლაციის დაძლევა უმოკლეს ვადაში (1993–1994 წლებში);
- გამორჩეულად წარმატებული ფულადი რეფორმის ჩატარება (1995 წელი);
- ერთერთი საუკეთესო საბანკო კანონმდებლობის შექმნა და ამ ბაზაზე ცივილიზებული საბანკო სექტორის ჩამოყალიბება (1995 წელი);
- დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის შექმნა საქართველოს ეროვნული ბანკის სახით (1995 წელი).

დღეს, როდესაც ქვეყნის ცენტრალური ბანკი ფაქტობრივად პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულად იქცა ყოველივე ზემოჩამოთვლილი ხელიდან გვეცლება და მნიშვნელობას კარგავს, და უთუოდ დგება თავის დროზე ყველა ამ პოზიტივის შემომქმედი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თუნდაც მორალური პასუხისმგებლობის საკითხიც.

კიდევ ერთხელ მივმართავთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლობებს საქართველოში და მათ სათავეს ოფისებს – ახლა მაინც, როდესაც სს „ბანკ ქართუ“-ს წინააღმდეგ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების ჯაჭვი შეიკრა და ყველაფერი დღესავით ნათელია, მიეცით პრინციპული შეფასება ხელისუფლების ქმედებებს და ნუ დაუშვებთ ქვეყანაში თქვენივე დახმარებით შექმნილი საბანკო სისტემის სრულ პროფანაციას.

5. სასამართლოს უმოქმედობა და კონტროლის პალატის ზეწოლა

2011 წლის 5 ოქტომბრიდან, ბანკის ბენეფიციარი მესაკუთრის ბატონ ბიძინა ივანიშვილის სააჯრო განცხადებიდან (პოლიტიკაში ჩართვის სურვილის შესახებ) დღემდე საქართველოს საერთო სასამართლოებში იშვიათი გამოჩენისების გარდა ფაქტიურად ბანკის არც ერთი სარჩელი, საჩივარი თუ განცხადება არ დაკმაყოფილებულა. სასამართლო განსაკუთრებულ მიკერძოებასა და არაობიექტურობას იჩენდა თითქოსდა სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ არსებული საგადასახადო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულ ქონებათა რეალიზაციის პროცესში, მაშინ როდესაც სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ბანკი ცდილობდა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი ზარალი და სასამართლო დავის დასრულებამდე სარჩელის უზრუნველყოფის სახით ითხოვდა საჯრო იძულებით აუქციონებზე ქონებათა რეალიზაციის აკრძალვას და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის დამდგენი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების შეჩერებას. 2011 წლის 7 ნოემბრიდან 2012 წლის მარტამდე ბანკს თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში წარდგენილი აქვს ათობით ანალოგიური მოთხოვნა, რომლებზედაც ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უარყოფითი პასუხია გაცემული. არც ხსენებულ განჩინებათა სააპელაციო წესით გასაჩივრება იძლეოდა შედეგს, რადგანაც სააპელაციო სასამართლოები ყოვლად დაუსაბუთებლად, გაუგონარი მიკერძოებითა და არაობიექტურობით ბანკის კერძო საჩივრებს უარს ეუბნებოდნენ. ამავდროულად გახშირდა ბანკის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო დავათა რაოდენობა, ხოლო ერთ კონკრეტულ შემთხვევაში (შპს „ფრუტერას“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ) თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და შეაჩერა ბანკის სასარგებლოდ მიმდინარე იძულებითი აღსრულების პროცესი (მაშინ როდესაც ბანკის არც ერთი ანალოგიური მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა). აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტიც, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა ბანკის განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების სახით თავდებ ფიზიკურ პირთა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ იმ მოტივით, რომ ეს ღონისძიება გამოიწვევდა მათ საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლას (შპს „მალაი ჯგუფის“ საქმე). სამწუხაროდ ამ კუთხით კიდევ მრავალი გაუგონარი უკანონობის ილუსტრირება შეგვიძლია.

სს „ბანკი ქართუ“ არც საქართველოს კონტროლის პალატის უსამართლო, უკანონო და გაუმართლებელი ინკვიზიციურობის არეალს მიღმა დარჩენილა, კერძოდ:

საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა, ნათია მოგელაძემ, განიხილა საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 9 მარტის #000008 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, შედგენილი ბანკის მიმართ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტის თაობაზე.

საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სახეზე იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაც გათვალისწინებულია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და 34-ე მუხლის 2012 წლის 12 მარტის დადგენილებით ბანკი დააჯარიმა 822 040 ლარით.

როგორც 2012 წლის 9 მარტის ოქმი, ისე 12 მარტის დადგენილება, ბანკის მიერ გასაჩივრებული იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით. საჩივარი დამყარებული იყო შემდეგ გარემოებებზე:

– საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილის, გიორგი ამირანაშვილის მიერ შედგენილი ოქმის მიხედვით, სს „ბანკი ქართუმ“ ჩაიდინა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის 1 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან, აკრძალული შემოწირულობის განსახორციელებლად ბანკის თანამშრომლებზე გასცა ბონუსები. ოქმის ავტორის მოსაზრებით: „სს „ბანკი ქართუმ“ 2012 წლის 8 თებერვალს საკუთარ თანამშრომლებზე ბონუსის სახით გასცა მათი ერთი წლის ხელფასის ოდენობის თანხები. კერძოდ, ზვიად ხუხუნაშვილს დაერიცხა 47 256 ლარი და რამაზ ქურდაძეს 55 500 ლარი, რის შემდეგაც ბანკის ხელმძღვანელობამ მოსთხოვა მათ დარიცხული თანხების შემოწირულობის სახით ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნებისათვის“ ჩაერიცხათ, რომელიც წარმოადგენს ორგანული კანონით რეგულირებულ სუბიექტს და მასზე ვრცელდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონით დადგენილი შეზღუდვები“.

– ბანკის მხრიდან ზემოაღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, არ არსებობდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველი. საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა, ნათია მოგელაძემ, 2012 წლის 12 მარტს გააკეთა უკანონო და სრულიად დაუსაბუთებელი დასკვნები ბანკის მიმართ კანონის 34²-ე მუხლის მეორე პუნქტით პასუხისმგებლობის ზომად გათვალისწინებული დაჯარიმების - განხორციელებული უკანონო შემოწირულობის ათმაგი ოდენობით - გამოყენების თაობაზე, რაც წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას, რომლის თანახმადაც: „ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში“.

– დადგენილების ავტორის დასკვნა იმის შესახებ, რომ სახეზე იყო „იურიდიული პირის მიერ ფიზიკური პირის გამოყენებით უკანონო შემოწირულობის განხორციელება, რადგან სს „ბანკი ქართუმ“, რაც მასზე იყო დამოკიდებული ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პოლიტიკური სუბიექტის ანგარიშზე მის მიერ თანამშრომლებზე თითქოსდა ბონუსის სახით გაცემული თანხები შემოწირულობის სახით ჩარიცხულიყო“, ტენდენციური და არაობიექტური იყო, რადგანაც წინააღმდეგობაში მოდიოდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან: კონტროლის პალატა დაეყრდნო რამაზ ქურდაძისა და ზვიად ხუხუნაშვილის ახსნა-განმარტებებს იმის შესახებ, რომ მათ ბანკის ხელმძღვანელობა „თითქოსდა“ აიძულებდა მიღებული თანხები ჩაერიცხათ ააიპ „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების“ ანგარიშზე, მაშინ როდესაც ამ გარემოებას არ ადასტურებდნენ ბანკის ის თანამშრომლები, რომლებსაც ასევე ჩაერიცხათ ბონუსები. ისინი უკანასკნელი თვეების განმავლობაში ბანკის ირგვლივ შექმნილ ფორს-მაჟორულ გარემოებებს ასახელებდნენ ამის მიზეზად. სწორედ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში საქმიანობისათვის და არა ვინმესთვის გადასარიცხად, იქნა მიღებული ბონუსების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება, მით უფრო, ამ პერიოდშივე მოხდა ბანკის უმაღლესი მენეჯმენტიდან 4 საკვანძო ფიგურის წასვლა. ბანკი პირველად, ბოლო წლების განმავლობაში, გავიდა სოლიდურ ზარალზე და ეს ბონუსები იმის მინიშნება იყო, რომ დამფუძნებელი ყველა კანონიერი ხერხით შეეცდებოდა ბანკის შენარჩუნებას და არ იყო საფუძველი კადრების მასიური დენადობისა (ამ პერიოდში ბანკი ასევე დატოვა 2

დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, რამოდენიმე განყოფილების უფროსმა და რიგითმა თანამშრომელმა).

– არ არსებობდა ბანკის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველი იმიტომაც, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა¹“ ქვეპუნქტითა და 34²-ე მუხლის მეორე პუნქტით, რომელთა თანახმადაც: „აკრძალულია ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მიღება იურიდიული პირებისაგან, მათი გაერთიანებებისაგან, სხვა ტიპის ორგანიზაციული წარმონაქმნებისაგან და ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ პარტიის სასარგებლოდ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულობის განხორციელება გამოიწვევს აკრძალული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულობის განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის დაჯარიმებას შემოწირულობის ათმაგი ოდენობით. გათვალისწინებული სამართლებრივი წინაპირობები (შემადგენლობა), რასაც კანონმდებელი უკავშირებდა სამართლებრივ შედეგს - დაჯარიმებას, სახეზე არ იყო, რადგანაც ბანკის არცერთ წახალისებულ თანამშრომელს, მათ შორის, არც რამაზ ქურდამეს და არც ზვიად ხუბუნაიშვილს, მიღებული ბონუსი არ შეუტანია ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების“ ანგარიშზე და შესაბამისად, ბანკის მხრიდან შემოწირულობის განხორციელებას ადგილი არ ჰქონია!

– თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 მარტს მიიღო ყოვლად უკანონო და ქართული მართლმსაჯულებისათვის შეურაცხყოფელი დადგენილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ბანკის საჩივარი. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამაც. ხსენებული დადგენილებები უკანონოა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა) საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე (კონსტიტუციის 45-ე მუხლი).

ბ) ყოველი პირის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით („ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“) აღიარებული უფლებათა, რომ მისი საქმე განიხილოს კანონის საფუძველზე შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

გ) ყველას, ვისაც დაერღვა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

დ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით: “თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი“. შესაბამისად, დადგენილების მიღებისას, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით („სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც

მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ“).

– გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და გამოიტანა უკანონო დადგენილება, რითაც დაარღვია სსკ 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი. მან საჩივარში მოყვანილი მოტივების უგულვებელყოფით, გააკეთა არასწორი დასკვნები იმის შესახებ, რომ 2012 წლის 8 თებერვალს, 19 თანამშრომელზე ბონუსის გაცემით ბანკის მხრიდან ადგილი ჰქონდა ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების“ სასარგებლო შემოწირულობის განხორციელებას, მაშინ როდესაც სასამართლოს ამგვარი დასკვნისათვის არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. კერძოდ:

– ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში სამართალდარღვევას წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებით, ცალსახად არის დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაწესების საფუძველები, რომლის მიხედვითაც, პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებისათვის. ამდენად, დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაკისრება მაშინ, როდესაც პირს არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არ დაურღვევია კანონმდებლობით განმტკიცებული მართლწესრიგი, მასზე დაკისრებული მოვალეობები, არ შეულახავს სხვისი უფლებები და განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით არ გამოუწვევია მართლსაწინააღმდეგო შედეგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევისათვის აუცილებელია სახეზე იყოს მისი შემადგენელი ოთხივე ელემენტი: ა) ქმედების მართლწინააღმდეგობა; ბ) ზიანი; გ) მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და ქმედებას შორის და დ) ბრალი; ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის არ არსებობაც კი გამორიცხავს ადმინისტრაციულ - სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

– მოცემულ შემთხვევაში, კონტროლის პალატამ მიიჩნია, რომ ბანკის მოქმედება ქმნიდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემადგენლობას, მაშინ როდესაც მითითებული ნორმა სამართალდარღვევად განიხილავს პარტიის (პარტიასთან გათანაბრებული პირის) მიერ იურიდიული პირებისაგან, მათი გაერთიანებებისაგან, სხვა ტიპის ორგანიზაციული წარმონაქმნებისაგან ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მიღებას და არა მიღების მცდელობას! იმავე კანონის 25-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით: „შემოწირულებად ითვლება პარტიის ანგარიშზე საქართველოს მოქალაქის მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრები...“ ამ ორი ნორმის შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებელი სამართალდარღვევად მიიჩნევს არა ბანკის თანამშრომლებზე პრემიის გაცემას (როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი), არამედ შემოწირულობის შეტანას პარტიის ან მასთან გათანაბრებული პირის ანგარიშზე, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორგანული კანონი (შესაბამისი მუხლის დისპოზიცია) გაითვალისწინებდა კონკრეტული სამართალდარღვევის ჩადენის მცდელობისათვის, კერძოდ, შემოწირულობის

განხორციელების მცდელობისათვის შესაბამის სანქციას, მოცემულ შემთხვევაში შემოწირულობის განხორციელების მცდელობასაც კი არ აქვს ადგილი, რადგანაც, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, წახალისებულ პირთაგან არც ერთს არ განუხორციელებია ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების“ ანგარიშზე თანხის შეტანის (ჩარიცხვის, გადარიცხვის) მცდელობა (წინააღმდეგ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარე სასამართლოს წარუდგენდა შესაბამის მტკიცებულებებს, მაგალითად, სალაროს შემოსავლის ორდერებს ან/და საგადასახადო დავალებებს, რის დაუბრკოლებლად მოპოვების უფლებაც საქართველოს კონტროლის პალატას მიანიჭებული აქვს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად).

– რაც შეეხება ბანკის ქმედების კვალიფიკაციას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34²-ე მუხლის მეორე პუნქტით – არც ამ შემთხვევაში შეიძლება სამართალდარღვევაზე ლაპარაკი, რადგანაც ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარეც, ასევე ადგილი უნდა ჰქონოდა ბანკის მიერ შემოწირულობის განხორციელებას (ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ პარტიის სასარგებლოდ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულობის განხორციელება).

– მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა კონტროლის პალატის მოსაზრება და დაასკვნა, რომ რადგანაც ბანკს, მისი დაარსებიდან დღემდე არ გაუცია ხელფასის ორმაგ ოდენობაზე მეტი პრემია თავის თანამშრომლებზე და ბანკის თანამშრომლებმა - რამაზ ქურდამემ და ზვიად ხუბუნაშვილმა კონტროლის პალატისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში დაადასტურეს ბანკის ხელმძღვანელობის განზრახვა მიღებული თანხების ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების“ ანგარიშზე გადარიცხვის თაობაზე, სახეზე იყო: „იურიდიული პირის მიერ ფიზიკური პირის გამოყენებით უკანონო შემოწირულობის განხორციელება, რადგან სს „ბანკი ქართუმ“ რაც მასზე იყო დამოკიდებული ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პოლიტიკური სუბიექტის ანგარიშზე მის მიერ თანამშრომლებზე თითქოსდა ბონუსის სახით გაცემული თანხები შემოწირულობის სახით ჩარიცხულიყო“. სწორედ ეს ბოლო წინადადება წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან კანონის არასწორი ინტერპრეტაციის საშუალებით კონტროლის პალატის უკანონო და დაუსაბუთებელი დადგენილებისათვის სამართლებრივი ლეგიტიმაციის მიცემის დემონსტრირებას და აქედან გამომდინარე, სასამართლოს ტენდენციურობისა და მიკერძოებულობის დადასტურებას!

– სასამართლომ არავითარი შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ ბანკის იმ თანამშრომლების ახსნა-განმარტებებს (ნ. ჯავახიშვილის, ნ. ხაინდრავას, ი.ბერაიას, მ. ბეგიაშვილის, გ. მერაბიშვილის და ა.შ.), რომლებიც სრულიად საპირისპიროს ამტკიცებდნენ და დამაჯერებლად ხსნიდნენ გაცემული ბონუსების, როგორც ოდენობას, ისე მათი გაცემის მიზანს. სინამდვილეში, ბონუსები ბანკის თანამშრომლებს დაერიცხათ იმის გამო, რომ ბანკი დადგა კვალიფიციური კადრების გადინების საფრთხის წინაშე, რაც ბანკის ირგვლივ შექმნილი მეტად არასახარბილო ვითარებით იყო ობიექტურად განპირობებული. როგორც წინამდებარე მოხსენებაში არაერთხელ იქნა აღნიშნული ბანკის თანამშრომლები უაღრესად სტრესულ ვითარებაში პირნათლად ასრულებდნენ

დაკისრებულ მოვალეობებს: განხორციელდა ბანკში საინკასაციო მანქანაზე ვანდალური თავდასხმა, ბანკმა განიცადა მრავალმილიონიანი ზარალი და კიდევ მრავალი სხვა.

– ესეც რომ არ იყოს, არავითარ „უჩვეულო“ სიდიდის ბონუსებზე არ იქნებოდა საუბარი, თუ სხვა ბანკების აბსოლუტურ უმრავლესობაში არსებულ ვითარებასთან მოახდენდა ქ-ნი ნ. მოგელაძე შედარებას - სხვა ბანკებში ხელფასებიც და ბონუსებიც რამდენჯერმე მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვეულებრივ საბანკო რეჟიმში ფუნქციონირებენ, ბევრი მათგანისათვის „სასათბურე პირობებიც“ კია შექმნილი და არც არავინ ითხოვს მათგან ანგარიშს, თუ რაში აპირებენ ამ ბონუსების დახარჯვას.

– პრემია წარმოადგენს შრომის ანაზღაურების ნაირსახეობას და მისი ოდენობა კანონმდებლობით შეზღუდული არ გახლავთ. ამასთან, პრემიის მიმღებს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი. ბუნებრივია, რ. ქურდაძესაც და ზ. ხუხუნაიშვილსაც გააჩნდათ ასეთი უფლება, მაგრამ მათ თითქმის ერთი თვის შემდეგ გააკეთეს ბანკის საწინააღმდეგო განცხადებები სრულიად გაუგებარი მოტივაციით. დადგენილებამ სათანადო შეფასება არ მისცა იმ ფაქტებს, რომ ბანკის დამფუძნებელმა, პრემიის გაცემის (წახალისების) გადაწყვეტილება მიიღო არა მარტო რ. ქურდაძისა და ზ. ხუხუნაიშვილის მიმართ, არამედ 17 სხვა თანამშრომლის მიმართაც.

– ამრიგად, რ. ქურდაძისა და ზ. ხუხუნაიშვილის განცხადებები იმის შესახებ, რომ მათ ბანკის ხელმძღვანელობა „თითქოსდა“ აიძულებდა მიღებული თანხები ჩაერიცხათ ააიპ „საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების“ ანგარიშზე, რაიმე სახის ობიექტური მტკიცებულებით დადასტურებული არ იყო და მხოლოდ ზემოაღნიშნული პირების განმარტებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან, როგორც პირველი ინსტანციის ასევე სააპელაციო სასამართლოებს საკმარის მტკიცებულებებად არ უნდა მიეჩნია და საფუძვლად არ უნდა დაედებოდა ბანკის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ დადგენილებას.

აღბათ, მსოფლიო ისტორიაში მწელად თუ მოიძებნება მაგალითი იმისა, რომ ერთ კომერციულ სტრუქტურას ებრძოდეს სახელმწიფო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ყველა რგოლით, არ იშურებდეს საკანონმდებლო ცვლილებებს და სასამართლო გადაწყვეტილებებს მისთვის ზიანის მისაყენებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს ზეწოლა სს „ბანკი ქართუს“ აქციათა 100%-ის მფლობელ სს „ქართუ ჯგუფზე“ – განმეორებითი კამერალური შემოწმების ჩატარების, საბაჟო ტვირთების დაგვიანებული განბაჟების, ამ ტვირთების განზრახ დაზიანების, ხანდაზმული მომჩივანი პირების სარჩელების განახლების, კონტროლის პალატის მიერ მილიონობით ლარით დაჯარიმების და სხვა გზებით.

ყველა აღნიშნულ დარღვევასთან და პროცესთან დაკავშირებით სს „ბანკმა ქართუმ“ არაერთი ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა.

სს „ბანკი ქართუ“ უზრუნველყოფს საელჩოებისათვის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისათვის, საქართველოს საბანკო სისტემისათვისა და მასმედიისათვის დეტალური ინფორმაციის მიწოდებას საქართველოს ხელისუფლების მიერ ბანკის წინააღმდეგ განხორციელებულ და მიმდინარე ქმედებების შესახებ.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, შეაჩეროს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურიდან სს „ქართუ ჯგუფის“ სამეურნეო სუბიექტებზე, მათ შორის სს „ბანკ ქართუზე“ უსამართლო ზეწოლა იმის გათვალისწინებით, რომ საფრთხე ექმნება მთლიანად ქართულ ეკონომიკასა და სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯს.

– დანართი 1 (4 გვერდი): კლიენტურის სს „ბანკ ქართუ“-ში სესხების უზრუნველსაყოფად გირაოდ ჩადებული მიტაცებული და გაყიდული ქონების მთლიანი რაოდენობა, აუქციონების აღწერილობასთან ერთად;

– დანართი 2 (2 გვერდი): საქართველოს საბანკო სექტორზე შესაძლო ზეგავლენა, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მოქმედების პირობებში (მოდელირებული სცენარი).

10.05.2012 წ.

დანართი 1

სესიების უზრუნველსაყოფად დაგირავებული მიტაცებული და გაყიდული ქონების აღწერა ინფორმაცია მოცემულია ლარში, 30.04.2012 წლის მდგომარეობით

უძრავი ქონება:

N	საკადასტრო კოდი	მისამართი	აღმასრულებლის შეფასება	აუქციონის საწყისი ფასი	აუქციონის დასრულების თარიღი	აუქციონის შედეგი	სახელმწიფოს მიერ დასაკუთრების თარიღი	სტატუსი 1 – მესაუკეთე იპოთეკის ხელშეკრულების მიხედვით	
1	ბათალი	005.30.09.021	ქ. ბათუმი, წარმუხლის ქ. №65	5,104,000	2,552,000	13/12/2011	არ გაუყვდა	10/01/2012	შპს "ბათალი"
		22.29.01.038	ხედიანურის რაი, სოფ. ახალსოფელი, გზით	302,000	151,000	09/12/2011	არ გაუყვდა	19/12/2011	შპს "ახალსოფლის მკვლევარების კომპლექსი"
		22.29.01.037	ხედიანურის რაი, სოფ. ახალსოფელი, გზით	3,534,000	1,767,000	09/12/2011	არ გაუყვდა	19/12/2011	შპს "ახალსოფლის მკვლევარების კომპლექსი"
		22.29.01.040	ხედიანურის რაი, სოფ. ახალსოფელი, გზით	40,000	20,000	13/12/2011	არ გაუყვდა	19/12/2011	შპს "ახალსოფლის მკვლევარების კომპლექსი"
		22.29.01.039	ხედიანურის რაი, სოფ. ახალსოფელი, გზით	662,000	331,000	13/12/2011	არ გაუყვდა	19/12/2011	შპს "ახალსოფლის მკვლევარების კომპლექსი"
		62.08.55.056	ახალციხე, სოფ. სხედისი (გუგული საერსოვერე ქარხანა)	1,211,000	605,500	13/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "მეხეილი მუცე კომპანი"
		01.13.06.002.030	თბილისი, თ. არსისაძის ქ. №2/4	9,340,000	4,670,000	13/12/2011	არ გაუყვდა	15/12/2011	შპს "ზაღვლელე კლასი"
		01.12.14.007.401	თბილისი, დიდუბის სასწრაფო-საავადმყოფო მუკრების ტერმინალი	344,000	172,000	13/12/2011	არ გაუყვდა	15/12/2011	შპს "პროექტ-სერვისი კომპანი"
		62.09.21.056	ახალციხე, წაფრის ქ. №2	703,000	351,500	13/12/2011	არ გაუყვდა	23/12/2011	შპს "და-ელ-აბა"
		01.11.17.006.420	თბილისი, მუხომანის დასახლების მამულები	1,900,000	950,000	09/12/2011	არ გაუყვდა	13/12/2011	შპს "ხიხიხი"
2	საქართველოს ფეხბურთეები	01.11.17.006.449	თბილისი, მუხომანის დასახლების მამულები	126,000	63,000	09/12/2011	არ გაუყვდა	13/12/2011	შპს "ხიხიხი"
		01.11.17.006.448	თბილისი, მუხომანის დასახლების მამულები	63,000	31,500	09/12/2011	არ გაუყვდა	13/12/2011	შპს "ხიხიხი"
		01.10.11.002.004.02.527	თბილისი, გელაქიძის ქ. №2	610,000	305,000	04/01/2012	არ გაუყვდა	09/01/2012	შპს "საქართველოს ფეხბურთეები"
		57.06.58.030	ქ. ყვარელი, მეურნეობის დასახლება	2,220,000	1,110,000	04/01/2012	არ გაუყვდა	11/01/2012	შპს "საქართველოს ფეხბურთეები"
		57.06.03.449	ქ. ყვარელი	25,000	12,500	04/01/2012	არ გაუყვდა	30/01/2012	შპს "საქართველოს ფეხბურთეები"
		01.15.02.037.004.01.500	თბილისი, მთაწმინდის ქ. №24	83,000	41,500	16/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.02.037.004.01.513	თბილისი, მთაწმინდის ქ. №24	170,000	85,000	16/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.05.046.010.01.05.517	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	680,000	340,000	16/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.05.046.010.01.02.510	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	357,000	178,500	16/12/2011	გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.05.046.010.01.04.506	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	94,000	47,000	16/12/2011	არ გაუყვდა	22/12/2011	შპს "შალი ვაგუნი"
		01.15.05.046.010.01.05.008	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	830,000	415,000	16/12/2011	არ გაუყვდა	22/12/2011	შპს "შალი ვაგუნი"
		01.15.05.046.010.01.04.001	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	1,900,000	950,000	16/12/2011	არ გაუყვდა	22/12/2011	შპს "შალი ვაგუნი"
		01.15.05.046.010.01.04.530	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	917,000	458,500	16/12/2011	არ გაუყვდა	22/12/2011	შპს "შალი ვაგუნი"
		01.15.05.046.010.01.06.509	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	25,000	12,500	16/12/2011	არ გაუყვდა	22/12/2011	შპს "შალი ვაგუნი"
		01.15.05.046.010.01.06.531	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	310,000	155,000	15/12/2011	არ გაუყვდა	22/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.05.046.010.01.06.532	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	70,000	35,000	15/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.05.046.010.01.06.533	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	159,000	79,500	15/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.05.046.010.01.06.537	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	113,000	56,500	15/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.05.046.010.01.06.538	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	239,000	119,500	15/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.05.046.010.01.06.542	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	108,000	54,000	15/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.05.046.010.01.06.543	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	25,000	12,500	16/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
		01.15.05.046.010.01.06.558	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	60,000	30,000	15/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"
01.15.05.046.010.01.06.557	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	41,000	20,500	15/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"		
01.15.05.046.010.01.06.556	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	25,000	12,500	15/12/2011	არ გაუყვდა	21/12/2011	შპს "ერეზილი ვირეა"		
01.15.05.046.010.01.06.534	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	71,000	35,500	16/12/2011	არ გაუყვდა	22/12/2011	შპს "შალი ვაგუნი"		
01.15.05.046.010.01.06.535	თბილისი, ზესის ქ. №4-ის მამულები	51,000	25,500	15/12/2011	არ გაუყვდა	22/12/2011	შპს "შალი ვაგუნი"		
3	ბაღო აბუბაგი	01.19.14.003.006	თბილისი, ქარაიძის ქ. №1	5,790,000	2,895,000	19/12/2011	არ გაუყვდა	28/12/2011	შპს "საქართველოს ფეხბურთეები"
		01.18.03.011.004	თბილისი, ვაკის ქ. №3	12,500,000	6,250,000	19/12/2011	გაუყვდა	30/12/2011	შპს "პარიზი"
		01.14.11.030.005.01.510	თბილისი, არაბული ქ. №8	1,990,000	995,000	19/12/2011	არ გაუყვდა	26/12/2011	შპს "ქ-1"
		01.15.02.006.012	თბილისი, მთაწმინდის ქ. №10	5,000,000	2,500,000	19/12/2011	არ გაუყვდა	26/12/2011	შპს "კავკასიის ურბანული ქონების აგრო"
		01.15.03.018.018	თბილისი, მთაწმინდის ქ. №5	5,150,000	2,575,000	19/12/2011	არ გაუყვდა	26/12/2011	შპს "კავკასიის ურბანული ქონების აგრო"
		01.14.14.012.048	თბილისი, ჭავჭავაძის გზ. №33	9,950,000	4,975,000	19/12/2011	გაუყვდა	30/12/2011	შპს "კავკასიის ურბანული ქონების აგრო"
		01.14.14.012.027	თბილისი, ჭავჭავაძის გზ. №29	7,300,000	3,650,000	19/12/2011	არ გაუყვდა	26/12/2011	შპს "კავკასიის ურბანული ქონების აგრო"
		01.14.03.039.015	თბილისი, ქვეთარაძის ქ. №16	16,724,000	8,362,000	19/12/2011	არ გაუყვდა	23/12/2011	შპს "საქართველოს ფეხბურთეები"
		01.14.03.039.015	თბილისი, ქვეთარაძის ქ. №16	1,278,000	639,000	19/12/2011	არ გაუყვდა	26/12/2011	შპს "დისკუსი"
		01.14.03.039.015	თბილისი, ქვეთარაძის ქ. №16	438,000	219,000	19/12/2011	არ გაუყვდა	26/12/2011	შპს "საქართველოს ფეხბურთეები"
		01.14.11.003.025	თბილისი, ჭავჭავაძის გზ. №60	8,000,000	4,000,000	22/12/2011	არ გაუყვდა	28/12/2011	სს "გარანი"
5	უნივერსალური სერვისი	01.13.05.007.009	თბილისი, ავღას ქ. 37	6,200,000	3,100,000	04/01/2012	არ გაუყვდა	09/01/2012	სს "უნივერსალური სერვისი"
6	ინტერ-პლასტი	81.08.18.286	თბილისი, სოფ. დიდი დილი	6,039,000	3,019,500	30/01/2012	გაუყვდა	16/02/2012	შპს "ინტერპლასტი"
7	თბილისი ფორუმის გზა	01.10.14.030.020	თბილისი, გამსახურდიას გზ. №30	5,764,000	2,882,000	20/02/2012	გაუყვდა	05/03/2012	შპს "თბილისი ფორუმის გზა"
8	ფორუმი	01.14.11.031.027.01.501	ქ. თბილისი, მცხეთის ქ. #19-21ა, არსაბე. ფართი #2, სართ. 1	360,000	180,000	09/02/2012	გაუყვდა	22/02/2012	ნიკოლოზ გარბაშვილი
		01.15.03.005.003.01.518	ქ. თბილისი, ნიკოლოზის ჩიხი 1 #4	91,000	45,500	09/02/2012	გაუყვდა	22/02/2012	თიანეთი (ქვემო)
		01.15.03.005.003.01.517	ქ. თბილისი, ნიკოლოზის ჩიხი 1 #4, ავტოსადგომი #9-1	23,000	11,500	09/02/2012	გაუყვდა	22/02/2012	თიანეთი (ქვემო)
		01.15.03.005.003.01.519	ქ. თბილისი, ნიკოლოზის ჩიხი 1 #4, ავტოსადგომი #9	23,000	11,500	09/02/2012	გაუყვდა	22/02/2012	თიანეთი (ქვემო)
		01.15.03.005.003.01.516	ქ. თბილისი, ნიკოლოზის ჩიხი 1 #4, მე-2-ე სართული	230,000	115,000	09/02/2012	გაუყვდა	22/02/2012	თიანეთი (ქვემო)
		01.15.03.005.018	ქ. თბილისი, ნიკოლოზის ჩიხი 1 #5-6	1,570,000	785,000	09/02/2012	გაუყვდა	22/02/2012	თიანეთი (ქვემო)
		81.02.08.368	ქ. თბილისი, სოფელი გაბაშვილი	440,000	220,000	09/02/2012	გაუყვდა	22/02/2012	შპს "ფორუმი"
		01.15.03.005.003.01.507	ქ. თბილისი, ნიკოლოზის ჩიხი 1 #4, მე-3 სართული	240,000	120,000	09/02/2012	გაუყვდა	22/02/2012	თიანეთი (ქვემო)
		01.15.03.005.003.01.506	ქ. თბილისი, ნიკოლოზის ჩიხი 1 #4, II-III სართული	285,000	142,500	09/02/2012	გაუყვდა	22/02/2012	თიანეთი (ქვემო)
		01.15.02.006.004	ქ. თბილისი, ავტოსადგომი #9	1,110,000	555,000	09/02/2012	არ გაუყვდა	14/02/2012	ი.პ. "ფორუმი გაბაშვილი"
		01.15.02.006.002.01.503	ქ. თბილისი, ავტოსადგომი #11, სართული 1	70,000	35,000	09/02/2012	არ გაუყვდა	14/02/2012	ი.პ. "ფორუმი გაბაშვილი"
		01.13.03.043.007	ქ. თბილისი, დიდუბის მხარე, III კვარტალი (ნაკგ 43/7)	2,660,000	1,330,000	09/02/2012	არ გაუყვდა	14/02/2012	ი.პ. "დღისი 2007"
9	ლოგისი	01.14.14.011.060.01.01.003	ქ. თბილისი, გამზირი ი. ჭავჭავაძე, #7-7/ ქ. თბილისი, ქუჩა ატენი, #18 მიმდებარე	3,667,000	1,833,500	21/02/2012	გაუყვდა	15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.05.520				21/02/2012		15/03/2012	ნიონი მასხურაძე
		01.14.14.011.060.01.01.002				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.02.004				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.01.005				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.02.008				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.04.005				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.02.011				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.01.011				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.01.015				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.01.014				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.01.023				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.03.011				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.14.14.011.060.01.06.029				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.15.05.067.003.01.506				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.15.05.067.003.01.508				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.15.05.067.003.01.507				21/02/2012		15/03/2012	შპს "ლოგისი"
		01.15.05.067.003.01.508				21/02/2012		15/03/2012	შპს "

	ჯამი		190,089,100	95,044,550
--	------	--	-------------	------------


[illegible]

დანართი 2

- ბანკების საზედამხედველო კაპიტალის ცვლილებები კანონის ყველა კომერციული ბანკისთვის თანაბრად ამოქმედების შემთხვევაში:

საფინანსო მაჩვენებელი	საქართველოს ბანკი	თიბისი ბანკი	პროგრედიტ ბანკი	ვითიბი ბანკი	რესპუბლიკა	ბანკი ქართუ
საზედამხედველო კაპიტალი, ლ	791,740,220	491,910,740	171,244,076	83,845,064	102,403,223	302,978,880
მთლიანი სესხები, ლ	2,669,730,410	2,019,505,976	680,610,206	304,109,038	472,092,229	365,951,183
ფინანსური ზარალი, ლ	820,000,000	620,000,000	210,000,000	95,000,000	145,000,000	108,700,000
ზარალი / სესხები, %	31%	31%	31%	31%	31%	31%
საზედამხედველო კაპიტალი ფინანსური ზარალის შემდეგ, ლ	-28,259,780	-128,089,260	-38,755,924	-11,154,936	-42,596,777	221,848,000

- ბანკებს მოუწევდათ მთლიანი სესხების დაახლოებით 30%-ის ჩამოწერა, რაც მათ საზედამხედველო კაპიტალს უარყოფით სიდიდედ აქცევდა და პრაქტიკულად ყველა საზედამხედველო ნორმატივის დარღვევას გამოიწვევდა



- 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ განვითარებული ფინანსური კრიზისის პერიოდში დაფიქსირდა ბანკებიდან დიდი ოდენობით სადეპოზიტო თანხების გადინება. კერძოდ, 2008 წლის ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდში საქართველოს 5 უმსხვილეს ბანკში კლიენტების მიმართ ვალდებულებები შემცირდა 400 მლნ. ლარით.
- იმავე პერიოდში სს “ბანკი ქართუს” ვალდებულებები კლიენტების მიმართ გაიზარდა 145 მლნ. ლარით, რაც ბანკის აქციონერის მხრიდან 150 მლნ. აშშ დოლარის ექვ. თანხის ჩარიცხვით საქართველოს საფინანსო ბაზრის უპრეცედენტო მხარდაჭერის შედეგია.